



**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N80**

2025 წელი; 25 ივლისი; 11:00 სთ;

**ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2**

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)

ზურაბ აბაშიძე

ნინო რუხაძე

მარიამ გელაშვილი

ავთანდილ ცინცაძე

კახაბერ ლაბუჩიძე

შოთა გრიგოლია

მოწვეული პირები:

- 1. გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- 2. ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- 3. ვახტანგ ლომჯარია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
- 4. თამარ ბერუაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
- 5. დავით ჩანქსელიანი** - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ნარჩენების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
- 6. სერგო ზირკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
- 7. ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი;
- 8. თემურ ბოლოთაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი;
- 9. ნინო ჯაფარიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი;
- 10. ცირა შალოშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის კულტურის ობიექტების მართვისა და დაგეგმარების განყოფილების უფროსი;
- 11. ლევან ყიფიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) მოვალეობის შემსრულებელი;
- 12. თინათინ ნიხლოშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.



სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე



დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
6. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ყიფიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე სერგო ბირკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ნიუ გლდანს“ (ს/ნ: 405653859) შორის 2024 წლის 1

ივლისის გაფორმებულ „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ. მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/კ: 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ფ-582-1-26243 ხელშეკრულებასთან“ და ამავე ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერტის“ (ს/ნ 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით გასატარებელ რიგ ღონისძიებათა შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ჯიერ ქონსტრაქშენს“ (დღეის მდგომარეობით: შპს დეკა ვარკეთილი - ს/ნ: 405581375) შორის 2023 წლის 9 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, N01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5397 კვ. მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „დეკა ვარკეთილის“ (ს/ნ 405581375) ნაწილობრივ გათავისუფლების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციას“ (ს.ნ.: 206344972) შორის 2020 წლის 25 თებერვალს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის“ (ს.ნ.: 206344972) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების საკითხის შეთანხმების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ნაზი ზაქრამეს (პ/ნ: 01011008339) (უფლებამონაცვლე: სს „მარიფ ულუსლარარასი ელითიმ ქურუმლარი“, ს/ნ: 8790664477) შორის 2017 წლის 26 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ფ-372-22-21460 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
14. „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში, 1 სართულზე არსებული 545.99 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედისთვის“ (ს/კ: 206269045) უსასყიდლო უზუფრუქტის



- ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
15. „ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 412792214) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
16. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 2098 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.095) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ასოციაცია აგორასთვის“ (ს/ნ: 202248175) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
17. „ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N1, შენობა-ნაგებობა N1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ ფართიდან 202.03 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.001.025) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს გენერალთა კლუბისთვის“ (ს/ნ: 200270107) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 2306 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.01.149.015) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
19. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლება, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.029) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
20. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015.01.514) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
21. „ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.031.013.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
22. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ მაყაშვილის ქუჩა N19ე-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.112.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
23. „ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის მიმდებარედ არსებული 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.81.21.106.003) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**



24. „ქალაქ თბილისში, გია ყანჭელის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.010.018.02.651) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
25. „ქ. თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
26. „ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართის (ს/კ N01.10.13.015.112.04.235) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
27. „ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.14.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
28. „ქალაქ თბილისში, კოსტავას ქ. N76-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.028.054) პირდაპირი განკარგვის წესით ირაკლი საყვარელიძისთვის (პ/ნ 01026007627) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
29. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.031.029) 15 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ქეთევან შაოშვილისთვის (პ/ნ 45001008952) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
30. „ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გორგასალისთვის“ (ს/ნ: 203826342) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
31. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ანა ცაბიკიძისთვის (პ/ნ: 01031006237) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
32. „ქ. თბილისში, საბურთალოს ქუჩა N41-ის მიმდებარედ 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.028.116) პირდაპირი განკარგვის წესით გრიგოლ ღონღაძისთვის (პ/ნ: 01030008028) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
33. „ქ. თბილისში, გამრეკელის ქუჩა N19-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.14.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „მედკაპიტალისთვის“ (ს/ნ: 205218030) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

34. „ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩა N8ა-ში მდებარე 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.039) შპს „ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტისთვის“ (ს/ნ 200099384) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
35. „ქალაქ თბილისში, გამრეკელის ქ. N19-ის მიმდებარე არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.013.049) პირდაპირი განკარგვის წესით მუხარის ოსმანოვისთვის (პ/ნ 01027005890) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
36. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი, კვარტალი II, კორპუსი I-ის მიმდებარე არსებული 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.35.003.008) პირდაპირი განკარგვის წესით ირაკლი შუკაკიძისთვის (პ/ნ 01027071293) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
37. „ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10ბ-ში არსებული N01.10.06.006.359; N01.10.06.006.360; N01.10.06.006.361 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „გალაქსი კონსტრაქშენისთვის“ (ს/ნ: 404987056) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
38. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები;**
39. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
40. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
41. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A“ კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის**

№24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

42. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
43. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, „დედისი-3“-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.15.001.420, ფართობი - 1000 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
44. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ონიაშვილის ქუჩა N81-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.12.031.047, ფართობი - 708 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
45. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა N9ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.13.03.023.089, ფართობი - 10 275 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
46. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, იალბუზის ქუჩა N4; N6; N6ა; N8; N8ა; N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.043.032, ფართობი - 1 899 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N194 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
47. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით რონდელის ქუჩა, N14-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.13.01.020.227, ფართობი - 581 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
48. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დიდი დიდმის დასახლება, II და III მიკრო/რაიონს შორის არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.642, ფართობი - 2803 კვ.მ) მიმართებით,

გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

49. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რატევიანის ქუჩა N20-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.09.003.052 ფართობი - 1396 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
50. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მიხეილ ხერგიაძის ქუჩა, N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.10.008.217, ფართობი - 1795 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
51. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გრაფი შულენბურგის ქუჩა, N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.561, ფართობი - 1222 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
52. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
53. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
54. „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ N01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხადის ქ. N4 (ს/კ N01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
55. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისში, ოთარ ონიაშვილის ქ. N59-ში არსებულ (ს/კ N01.10.12.033.009) მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, ნათელა ურუმაშვილის (პ/ნ 01011013838) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
56. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. გაიოზ თალაკვაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2025 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (10 400,0 ათასი ლარი) გამოყენების, მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 48 711,4 ათასი ლარით (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის დაცვის მინისტრის 2025 წლის 24 ივლისის MES 525 0000911750 წერილი), სხვა შემოსავლების ნაწილში სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის) - 13 000,0 ათასი ლარით, ხოლო არაწარმოებული აქტივების (მიწა) კლებიდან მიღებული შემოსავლები - 5 000,0 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება სულ - 77 111,4 ათასი ლარით და შეადგენს - 2 348 609,0 ათას ლარს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების წინადადებები დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ; ხოლო აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება: გზების მშენებლობა და აღდგენა - (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 9 500,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) - 180,0 ათასი ლარით, გზების მოვლა შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) - 250,0 ათასი ლარი, გზების მოვლა შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) - 900,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) - 500,0 ათასი ლარი, გზები მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი: 01 01 16) - 300,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) - 1 200,0 ათასი ლარი, სატრანსპორტო-ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 3 000,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) პროგრამის ასიგნებები - 3 000,0 ათასი ლარი, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული

კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 549,6 ათასი ლარი, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) პროგრამის ასიგნებები - 1 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) ქვეპროგრამის ასიგნებები - 400,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 230,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) - 1 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) - 600,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 100,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 300,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 380,0 ათასი ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 350,0 ათასი ლარი, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) - 1 000,0 ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) - 5 000,0 ათასი ლარი, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) - 300,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) - 137,3 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) ქვეპროგრამის ასიგნებები - 500,0 ათასი ლარით, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) - 600,0 ათასი ლარი, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) - 350,0 ათასი ლარი, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) - 700,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი: 06 02 02) - 150,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 16 07) - 100,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) - 100,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში (კოდი 06 02 16 13) - 200,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 14) - 150,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) - 100,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) - 100,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) - 200,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) - 100,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) - 100,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) - 100,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი: 06 02 18 14) - 50,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი: 06 02 18 15) - 100,0 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალური თავმჯდომარის მოვლა-პატრონობა (კოდი: 06 02 21) - 300,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი: 06 02 22) - 400,0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 2 000,0 ათასი ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები - 100,0 ათასი ლარი, სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) - 200,0 ათასი ლარი, ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (კოდი 07 06 01) - 185,0 ათასი ლარით, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი: 08 01 02) - 24,6 ათასი ლარი, სანდრო მრეკლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი (კოდი: 08 01 05) - 25,0 ათასი ლარი, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა (კოდი: 08 04 03) - 50,0 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 08 05) - 500,0 ათასი ლარი, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) - 1 400,0 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) - 850,0 ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) -

350,0 ათასი ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) – 718,0 ათასი ლარით, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) პროგრამის ასიგნებები - 2,692,0 ათასი ლარი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო (კოდი 10 21) – 2 800,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი: 10 36) - 542,0 ათასი ლარით.

მცირდება: კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნებები - 180,0 ათასი ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) პროგრამის ასიგნებები - 150,0 ათასი ლარით, თბილისი-საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) - 90,0 ათასი ლარით, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) - 52,3 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები - 422,0 ათასი ლარით, ზოგადი განათლებისა და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 02 01) - 100,0 ათასი ლარით, უწყვეტი განათლებისა და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 01) - 150,0 ათასი ლარით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) - 108,4 ათასი ლარით, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) - 49,6 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაციის ხარჯები (კოდი 10 02 01) - 7 381,3 ათასი ლარი, თბილისის მეტროს (მომრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (AIIB) (კოდი 10 41) - 6 600,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - 572,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი: 10 47) - 2 208,3 ათასი ლარით.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამები: თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (კოდი 07 02 05) - 9 000,0 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები გლდანის რაიონში (კოდი 07 02 06 01) - 3 291,2 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ნაძალადევის რაიონში (კოდი 07 02 06 02) - 8 255,4 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დიდუბის რაიონში (კოდი 07 02 06 03) - 3 541,0 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 07 02 06 04) - 2 449,5 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ვაკის რაიონში (კოდი 07 02 06 05) - 872,9 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები საბურთალოს რაიონში (კოდი 07 02 06 06) - 3 423,8 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ისნის რაიონში (კოდი 07 02 06 07) - 1 128,7 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები სამგორის რაიონში (კოდი 07 02 06 08) - 4 105,1 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები კრწანისის რაიონში (კოდი 07 02 06 09) - 4 310,0 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მთაწმინდის რაიონში (კოდი 07 02 06 10) - 7 784,2 ათასი ლარის ოდენობით.

მოხსენების მიწურულს, გაიოზ თალაკვაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 080 788,4 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 267 820,6 ათასი ლარით. ამასთანავე, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 995 788,4 ათასი ლარით, ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 348 609,0 ათასი ლარით, აგრეთვე, ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 38 675,0 ათას ლარს, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი

საღდო განისაზღვრა 229.145,6 ათასი ლარით. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პრეამბულაში „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილების გამოქვეყნების თარიღის სწორად მითითების, ასევე დადგენილების პროექტის მუხლობრივი ნუმერაციის სწორად ჩამოყალიბების და „მუხლი 3-ის“ ნაცვლად, „მუხლი 2-ის“ მითითების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. თამარ ბერუაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანას; კერძოდ, დადგენილების პირველ მუხლს ემატება „ი“ ქვეპუნქტი, რომლითაც განისაზღვრება „რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, რევმატოიდული ართრიტი აუტოიმუნური, ქრონიკული დაავადებაა, რომელიც უპირატესად ვლინდება 35-60 წლის ასაკში და პაციენტთა დაახლოებით ნახევარს დიაგნოზის დასმიდან 10 წელიწადში სრულიად ეკარება შრომისუნარიანობა, რაც კიდევ უფრო დიდი გამოწვევას წარმოადგენს როგორც საზოგადოების, ისე ჯანდაცვის სისტემისთვის. საერთაშორისო რეკომენდაციების (EULAR, ACR) თანახმად, მკურნალობა იწყება დაავადების მამოდიფიცირებელი ანტირევმატული საშუალებებით, თუმცა გარკვეული შემთხვევების დროს ეს თერაპია არ არის ეფექტიანი და პაციენტს აღენიშნება აუტანლობა. ასეთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, ბიოლოგიური მედიკამენტების ჩართვა მკურნალობის სქემაში, რაც ამცირებს დაავადების პროგრესირებას და აუმჯობესებს პაციენტის ფუნქციურ მდგომარეობას. „რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტის დაფინანსების ქვეპროგრამა“ სწორედ ასეთი მედიკამენტის მიწოდებას უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირებისთვის.

მომხსენებლის განმარტებით, ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან რევმატოიდული ართრიტის (M05.8; M06.0 ; M06.8) დიაგნოზის მქონე საქართველოს მოქალაქეები, რომელთა ქულაც DAS28 ინდექსით (დაავადების აქტიუობის ქულა 28 სახსრის დათვლის გამოყენებით)

შეფასების მიხედვით, შეადგენს 3.2-ს ან აღემატება მას და ამასთან ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამაღდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არიან რეგისტრირებულნი. ასევე, ისეთი პირები, რომლებსაც ამ 2 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში.

მომხსენებლისვე მითითებით, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს მედიკამენტი „ტოცილიზუმაბის“ დაფინანსებას (1 კოლოფი 162მგ/0.9მლ N4 შპრიცი), რომლისთვისაც დადგენილია ტარიფი - არაუმეტეს 1570 ლარის ოდენობით.

თამარ ბერუაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდება სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს მედიკამენტი უფინანსდება დადგენილი ტარიფის გათვალისწინებით მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით, თანაგადახდის ოდენობა შეადგენს მხოლოდ 20%-ს. ამასთანავე, თუ ქვეპროგრამით მოსარგებლე, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირს, მკურნალობის დასრულებამდე შეუმცირდება სარეიტინგო ქულა, მკურნალობა გაგრძელდება ცვლილების შესაბამისად, ხოლო თუ გაეზრდება სარეიტინგო ქულა, ცვლილების მიუხედავად, მკურნალობა დასრულდება იმ პირობებით, რომლითაც დაიწყო მომსახურების გაწევა.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა ქვეპროგრამაში ჩართვისა და მედიკამენტის ვაუჩერის მისაღებად, დაინტერესებული პირის მიერ წარსადგენი განცხადებისა და წესით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შესახებ და აღნიშნა, რომ ქვეპროგრამაში ჩართვიდან 3 თვის შემდგომ, ექიმის მიერ DAS28 ინდექსით ხორციელდება მოსარგებლის განმეორებით შეფასება, რომლის შედეგის მიხედვითაც, შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ 3 ლიცენზირებული ექიმისგან შემდგარი კონსილიუმში წევრებს ქვეპროგრამის ფარგლებში მოსარგებლის სტატუსის გაგრძელების/შეწყვეტის საკითხს. მოსარგებლის განმეორებითი შეფასების შედეგების მიხედვით, გაუმჯობესების დადგენის შემთხვევაში, მკურნალობის განმახორციელებელი ექიმი თავიდან განსაზღვრავს ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტის დოზირებას. თუ საწყისი ქულა DAS28 ინდექსის მიხედვით მკურნალობის დაწყებისას ნაკლები იყო 5.1-ზე, გაუმჯობესებად ჩაითვლება მისი არანაკლებ 0.6 ქულით შემცირება, ხოლო 5.1-ზე მეტი ქულის არსებობის შემთხვევაში, მისი არანაკლებ 1.2 ქულით შემცირება ითვლება გაუმჯობესებად.

მომხსენებელმა აქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, როგორც ქვეპროგრამის განმახორციელებელი, მის მიერ დადგენილი ფორმითა და მექანიზმით პერიოდულად შეამოწმებს მიმწოდებლის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. გარდა ამისა, წარმოდგენილი წესით განისაზღვრა ის დამატებითი პირობებიც, რომელთა დაკმაყოფილებაც მიმწოდებლისთვის სავალდებულოა.

მომხსენების მიწურულს, თამარ ბერუაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტის მეორე მუხლით დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2025 წლის პირველი სექტემბერი.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტიდან ამოღებულ იქნეს „დანართის“ შესახებ მითითება, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ვახტანგ ლომჯარიამ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის განხორციელების წესის“ დამტკიცებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წესის პირველი მუხლის თანახმად, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ფინანსური მხარდაჭერის განსახორციელებლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ (შემდგომში - „მერი“) შეიქმნება პროექტების განმხილველი კომისია და კომისიის აპარატი, რომელთა შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება მერიის მიერ დამტკიცებული კომისიის დებულებით.

მომხსენებლისვე მითითებით, წესის მე-2 მუხლით განისაზღვრება თანადაფინანსების მიმღები პირები, კერძოდ, მოქმედი მეწარმე იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომელთა ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი) და ფუნქციონირების ადგილი არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, ხოლო წესის მე-3 მუხლით თანადაფინანსების ობიექტი, რაც გულისხმობს, რომ წესის ფარგლებში გათვალისწინებულია, როგორც პროდუქციის დასამზადებლად საჭირო მანქანა-დანადგარების, ისე დამატებითი ღირებულების მზა პროდუქტების შექმნის თანადაფინანსება (საწარმოო აღჭურვილობა/დანადგარები, ტექნოლოგია).

ვახტანგ ლომჯარიას განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის შესაბამისად, თანადაფინანსების მისაღებად დაინტერესებულმა პირმა, პროექტის დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა, წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურს (შემდგომში - „სამსახური“), რომელსაც თან უნდა დაურთოს სრულყოფილად შევსებული საპროექტო განაცხადი და სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია, რომლის შესაბამისობას წარმოდგენილი წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან ამოწმებს კომისიის აპარატი. შეუსაბამობის ან დოკუმენტაციის არასრულად წარდგენის შემთხვევაში, აპარატი მიმართავს სამსახურს. დადგენილი ხარვეზის გამოსასწორებლად დაინტერესებულ პირს

სამსახურის მიერ განესაზღვრება არანაკლებ 5 სამუშაო დღე, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც, განაცხადი არ განიხილება.

მომხსენებელმა აქვე ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ კომისია უფლებამოსილია განიხილოს დაინტერესებული პირის მიერ ზემოაღნიშნული წესით დადგენილი ვადის დარღვევით წარმოდგენილი განცხადება გამონაკლისის სახით იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის საფუძველზე, კომისია მიზანშეწონილად ჩათვლის აღნიშნული პროექტის განხილვას.

ვახტანგ ლომჯარიამ ასევე ისაუბრა საპროექტო განაცხადის განხილვისა და თანადაფინანსების პროცედურის თაობაზე და აღნიშნა, რომ თუ დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 25,000 ლარს, საპროექტო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას საპროექტო განაცხადის თანადაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ და წარუდგენს რეკომენდაციას სამსახურის უფროსს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას თანადაფინანსების თაობაზე. ხოლო თუ მოთხოვნილი თანხა აღემატება 25,000 ლარს, საბოლოო გადაწყვეტილებას თანადაფინანსების თაობაზე მიიღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

მომხსენებლისვე მითითებით, წარმოდგენილი წესის ფარგლებში, მოთხოვნილი თანხის მოცულობა თითოეული ბენეფიციარისთვის შეადგენს არაუმეტეს 50,000 ლარს, ხოლო თანადაფინანსების მიმღების თანამონაწილეობა განისაზღვრება შემდეგი პროცენტული რაოდენობით:

5,000 ლარის ჩათვლით - მოთხოვნილი თანხის 10%;

5,001 - 20,000 ლარის ჩათვლით - მოთხოვნილი თანხის 15%;

20,001 - 30,000 ლარის ჩათვლით - მოთხოვნილი თანხის 20%;

30,001 - 50,000 ლარის ჩათვლით - მოთხოვნილი თანხის 30%.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა კონტროლის განხორციელებისა და თანხების ხარჯვის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესზე და აქვე დასძინა, რომ სამსახურსა და თანადაფინანსების მიმღებ პირს შორის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგდება მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლის საფუძველი იქნება სამსახურის უფროსის/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.

მომხსენების მიწურულს, ვახტანგ ლომჯარიამ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს მეწარმეობის ეკოსისტემის გაძლიერებას და სისტემური განვითარების ხელშეწყობას. იგი ითვალისწინებს წარმოებისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირებას, მეწარმე სუბიექტების წახალისებას, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციას, მცირე და საშუალო საწარმოების გაფართოების ხელშეწყობას, ასევე მათი კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას. აღნიშნული პროექტის განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერება ქმნის საფუძველს სისტემური ეკონომიკური ცვლილებებისთვის. ეს ცვლილებები საგრძნობლად აისახება როგორც ფისკალურ პოლიტიკაზე, ასევე შრომის ბაზრის დინამიკაზე. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან, ხოლო დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის პირველ მუხლში ტექნიკური ხარვეზის გასწორებისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რედაქციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

ასევე, საკითხის მომხსენებლის მიერ გაკეთებული განმარტების გათვალისწინებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, დადგენილების პროექტის დანართით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის განხორციელების წესის“ პროექტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტში დაემატოს ჩანაწერი პროექტების განმხილველი კომისიისა და კომისიის აპარატის შემადგენლობის განსაზღვრის თაობაზე, მე-3 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „პროგრამით“, აგრეთვე წარმოდგენილი წესის პროექტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში მიეთითოს, რომ საპროექტო განაცხადის ფორმა და დოკუმენტაციის ნუსხა განისაზღვრება სამსახურის უფროსის ინდ. აქტით (ბრძანებით), ხოლო მე-8 მუხლში გათვალისწინებულ იქნეს, რომ წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, მონიტორინგის მექანიზმები და შესრულების ანგარიშის ფორმა ასევე განისაზღვრება სამსახურის უფროსის ინდ. აქტით (ბრძანებით); გარდა ამისა, გასწორდეს ტექნიკური და რედაქციული ხასიათის ხარვეზები და წესის პროექტი ჩამოყალიბდეს წინამდებარე დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნაზე თანდართული რედაქციის შესაბამისად.

გადაწყვეტის:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ცირა შალოშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-27 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) განხორციელების წესში“ (შემდგომში - „წესი“) ცვლილებების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წესის მოქმედი რედაქციით, დაფინანსებას ექვემდებარება ა(ა)იპ „საჯარო ხელოვნების ფონდის“ მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში მიღებული და გამარჯვებული პროექტები. შესაბამისად, სახელოვნებო სფეროს

წარმომადგენლებს შეზღუდული აქვთ მოქმედების სფერო, ვინაიდან, კონკურსი ცხადდება ა(ა)იპ „საჯარო ხელოვნების ფონდის“ დირექტორის ბრძანებით, რომლითაც განსაზღვრულია პროექტის ძირითადი პარამეტრები - ლოკაცია, ბიუჯეტი და განხორციელების ვადები. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებულ პირებს არ ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი ინიციატივით წარადგინონ პროექტები მათთვის რელევანტურ ლოკაციაზე, მათ მიერ განსაზღვრული ბიუჯეტითა და ვადით. ამგვარი შეზღუდვები უარყოფითად აისახება სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლების შემოქმედებით და ორგანიზაციულ თავისუფლებასა და კულტურული პროექტების განვითარებაზე.

ცირა შალოშვილის განმარტებით, სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად, ქართველი ხელოვანების მხარდაჭერისა და მათი შემოქმედებითი განვითარების წახალისების მიზნით, წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს დაფინანსების ალტერნატიულ გზას - საპროექტო განაცხადის წარდგენას ხელოვანის მიერ შერჩეულ ლოკაციაზე, განსაზღვრული ვადითა და ბიუჯეტით.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება წესის შესაბამისი მუხლები, რომლებითაც განისაზღვრება საპროექტო განაცხადის წარდგენის წესი, მისი განხილვისა და დაფინანსების პროცედურა.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ პროექტების შეუფერხებელი განხორციელებისა და დაფინანსების მიმღები სუბიექტებისთვის სამუშაო პროცესის გასამარტივებლად, წესში წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) მისაღებად დამატებით გათვალისწინებული იქნება სადაზღვეო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის წარდგენის შესაძლებლობა.

მომხსენების მიწურულს, ცირა შალოშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტის მეორე მუხლით დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვას:

წინამდებარე დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილებებისა და საკითხის მომხსენებლის მიერ გაკეთებული განმარტების გათვალისწინებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, ცვლილება შევიდეს წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში, კერძოდ, წესის განხორციელების ფორმებს დაემატოს საპროექტო განაცხადის განხილვის შესახებ ჩანაწერი და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ფონდი წესის განხორციელებას უზრუნველყოფს, ფონდის წესდებით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად, საპროექტო განაცხადის განხილვის/კონკურსების ჩატარების გზით, პროექტის დაფინანსებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში.“

გადაწყვეტის:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ცირა შალოშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილების** პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესში“ (შემდგომში - „წესი“) ცვლილებების შეტანას.

მომხსენებლის განმარტებით, წესის მოქმედი რედაქციით, რიგ საკითხებთან მიმართებით არ არის დაზუსტებული და განსაზღვრული პროცესუალური დეტალები, რაც იწვევს გარკვეულ უზუსტობას. კერძოდ, მოქმედი რეგულაციები სრულად არ ითვალისწინებს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციების განთავსების და გადაადგილების დროს წამოჭრილ მნიშვნელოვან სამართლებრივ და პროცესუალურ დეტალებს, რაც პრაქტიკაში ქმნის ბუნდოვანებას, უპირატესად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით. ამასთანავე, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს ჩართულობა არ არის ფორმალიზებული, რაც აუცილებელია პროცესის სამართლებრივად გამართულად წარმართვისა და პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

შესაბამისად, როგორც ცირა შალოშვილმა აღნიშნა, წარმოდგენილი ცვლილების მთავარი მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციებისა და მემორიალური დაფების განთავსების, გადაადგილებისა და შეთანხმების პროცესის უფრო დეტალური, სამართლებრივად გამართული და პრაქტიკულად ეფექტიანი რეგულირება.

მომხსენებლის მითითებით, მოცემული ცვლილებებით განისაზღვრება და შემდგომში დარეგულირდება შემდეგი საკითხები: **არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ცნება და ინფორმაციული სტანდარტები**, გადაწყვეტილებების მიმღები სუბიექტები და მათი პასუხისმგებლობა, დამატებითი მოთხოვნები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში კოორდინაციის გასაუმჯობესებლად.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება კომპოზიციის განთავსების შემთხვევაში, დაინტერესებული პირის მიერ სავალდებულოდ წარსადგენი კონკრეტული ნებართვები ან რეკომენდაციები შესაბამისი უწყებებიდან.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ წარმოდგენილი ცვლილებით ასევე განისაზღვრება საგამონაკლისო შემთხვევა, რომლის თანახმადაც, კომისიას წარედგინება იმ პირების არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის კვლავ განთავსების საკითხი, რომლის პატივსაცემადაც თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში უკვე არსებობს შესაბამისი კომპოზიცია, თუ ის უსასყიდლოდ გადაეცემა თბილისის მუნიციპალიტეტს.

მომხსენების მიწურულს, ცირა შალოშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტის მეორე მუხლით დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

გადაწყვეტის:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. დავით ჩანქსელიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ვინაიდან წარმოდგენილი დადგენილების თანახმად, დასუფთავების მოსაკრებლის გადახდა აგრეთვე წარმოადგენს სანებართვო პირობას, მიზანშეწონილია, განისაზღვროს მოსაკრებლის გადახდის ახალი მეთოდოლოგია ახალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული დასუფთავების მოსაკრებლის გადახდას წინასწარ მშენებლობის ნებართვის მიღების პროცესში, რაც მაქსიმალურად შეამცირებს რისკებს, ახალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის დაწესებული, ქ. თბილისში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადამხდელების მხრიდან, დადგენილებით გათვალისწინებული თანხის გადახდისაგან თავის არიდების კუთხით და ასევე შეამცირებს შემდგომში მოსაკრებლის ამოღების ადმინისტრირების ხარჯებს, რამეთუ ქ. თბილისში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადაუხდელობის გამო სანქციებისა და იძულების ღონისძიებების გატარება ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ იმავე ფორმით, როგორც სამშენებლო/სანებართვო პირობების დარღვევისათვის, რაც მოითხოვს ადმინისტრაციული რესურსის საკმაოდ დიდი მოცულობით ხარჯვას.

შესაბამისად, მომხსენებლის განმარტებით, დადგენილებაში გაჩნდება ახალი პუნქტი, რომლის თანახმადაც, დამოუკიდებელი დანართით განისაზღვრება ინდივიდუალური სახლის ახალი მშენებლობის ნებართვის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მოსაკრებელი და მისი ოდენობა, განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) კოეფიციენტის გათვალისწინებით. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებით მოხდება დიფერენცირება იმ სუბიექტებისა, რომელთა მიმართაც მოსაკრებლის დარიცხვა დაკავშირებულია მშენებლობის ნებართვის მიღებასთან.

დავით ჩანქსელიანმა ყურადღება გაამახვილა წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცვლილებაზე, რომლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის ლილოს საუბნო საზღვრებში კერძოდ: დიდი ლილოს და ნასაგურის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასახლებულ პირებს (აბონენტებს) არ დაერიცხებათ დასუფთავების მოსაკრებელი. მათზე გავრცელდება მოსაკრებლის გადახდისგან გათავისუფლების შეღავათი. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საყოფაცხოვრებო ნარჩენების წაგვსაყრელი პოლიგონი მდებარეობს ლილოს ტერიტორიაზე, რომელიც მუშაობს 24 საათიანი რეჟიმით. წაგვსაყრელზე განთავსებისათვის შემოტანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ოდენობა საკმაოდ გაზრდილია და ასევე გაზრდილია სხვადასხვა კომპანიებიდან გასანადგურებლად შემოტანილი ნარჩენების რაოდენობაც, შესაბამისად, წაგვსაყრელის მიმართულებით, ზემოაღნიშნული დასახლებული პუნქტების გავლით ყოველდღიურად გადაადგილდება დიდი რაოდენობით მაღალი ტვირთამწეობის ნაგავზიდვები, ასევე სხვა სახის ა/მანქანები, ამასთანავე, არსებობს წაგვსაყრელი პოლიგონის ექსპლუატაციის პროცესიდან გამომდინარე სხვადასხვა ფაქტორები, რის გამოც საკმაოდ დიდი დისკომფორტი ექმნება ადგილობრივ მოსახლეობას. შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დიდი ლილოს და ნასაგურის აბონენტებს მუნიციპალიტეტის მხრიდან გაეწიოს გარკვეული შეღავათი, მინიმუმ იმ პერიოდით, ვიდრე არ აღმოიფხვრება წაგვსაყრელი პოლიგონის ექსპლუატაციის პროცესიდან გამომდინარე დისკომფორტის გამომწვევი მიზეზები.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ დიდი ლილოს და ნასაგურის ტერიტორიაზე, დღეის მდგომარეობით, არის დაახლოებით 1109 აბონენტი (დიდი ლილო - 831 აბონენტი, ნასაგური - 278 აბონენტი), რომელზეც ყოველთვიური დარიცხული დასუფთავების მოსაკრებელი შეადგენს 4847.50 ლარს, ხოლო წლის განმავლობაში დაახლოებით 58170 ლარს შეადგენს, რაც არ არის დაზუსტებული თანხა ვინაიდან, პრაქტიკიდან გამომდინარე აბონენტები შესაძლებელია გაუქმდეს, ახალი დაიდგას და/ან შეუწყდეს, გაეზარდოს ან შეუმცირდეს დასარიცხი მოსაკრებლის ოდენობა.

მომხსენებლისვე მითითებით, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, დაზუსტდება და ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება მოსაკრებლის გადამხდელის დეფინიცია, ასევე გამარტივდება მოსაკრებლის ქვითრის გამოწერისა და გაგზავნის პროცედურა ელექტრონული შეტყობინების დამატების საშუალებით. გარდა ამისა, დადგენილებით დამტკიცებულ „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციაში“ (დანართი 1) გაჩნდება ახალი ჩანაწერი, რომლის თანახმად, მშენებლობის ნებართვის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომლებიც ფლობენ ამ დადგენილების დანართი 2-ის 30-32-ე გრაფებით განსაზღვრულ სამშენებლო საქმიანობის შესაბამის ნებართვას, დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა ნებართვის მიღების თარიღიდან და შეწყდება ნებართვაში მითითებული მშენებლობის დასრულების თარიღის დადგომისას. ამასთანავე, ამავე ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის (განსაზღვრულია საწარმოო ობიექტებისა და ორგანიზაციების შენობა-ნაგებობების ფართობი, რომელთაც არ დაერიცხებათ დასუფთავების მოსაკრებელი) მოქმედება არ გავრცელდება დადგენილების

დანართი 2-ის 30-32-ე გრაფებით განსაზღვრულ, ასევე ინდივიდუალური სახლის ახალი მშენებლობის ნებართვის მიმღებ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე.

მოხსენების მიწურულს, დავით ჩანქსელიანმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების შემცირებას, დასუფთავების მოსაკრებლის შემცირებიდან გამომდინარე, წელიწადში დაახლოებით 58170 ლარის ოდენობით და აქვე დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების პროექტის მეორე მუხლით დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პრეამბულაში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

აგრეთვე, მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი დაზუსტების გათვალისწინებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, დადგენილების პროექტში გასწორდეს ტექნიკური და რედაქციული ხასიათის ხარვეზები, შეიცვალოს დადგენილების შესაბამისი მუხლების და პუნქტების, ასევე დანართების წყობა და დადგენილების პროექტი ჩამოყალიბდეს წინამდებარე დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნაზე თანდართული რედაქციის შესაბამისად.

გადაწყვეტის:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეშვიდე საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ყიფიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მ/წლის 24 ივლისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ყიფიანის დანიშვნაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის საკითხს.

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი კანდიდატურის კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესახებ.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების გარდა, აგრეთვე განეკუთვნება - ამ კანონით დადგენილი წესით თბილისის მთავრობის წევრის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემა.

კომისიის თავმჯდომარემ აქვე დასძინა, რომ ამავე ორგანული კანონის მე-80 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოს - თბილისის რაიონის გამგეობის ხელმძღვანელია თბილისის რაიონის გამგებელი (შემდგომ - რაიონის გამგებელი), რაიონის გამგებელს თბილისის საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს თბილისის მერი, ხოლო, რაიონის გამგებლის თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხს წყვეტს თბილისის მერი.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა მზარი დაუჭირეს წარმოდგენილ კანდიდატურას და გადაწყვეტეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ყიფიანის დანიშვნაზე თანხმობის გაცემის საკითხზე უნდა იმსჯელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ამავე საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

8. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მერვე საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე სერგო ბირკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, მ/წლის 24 ივლისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე სერგო ბირკაძის დანიშვნაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის საკითხს.

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი კანდიდატურის კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესახებ.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების გარდა, აგრეთვე განეკუთვნება - ამ კანონით დადგენილი წესით თბილისის მთავრობის წევრის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემა.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ამავე ორგანული კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს თბილისის საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს თბილისის მერი. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია და უფლებამოსილებას იხსნის თბილისის მერის წინაშე.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ კანდიდატურას და გადაწყვეტეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე სერგო ბირკაძის დანიშვნაზე თანხმობის გაცემის საკითხზე უნდა იმსჯელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ამავე საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

9. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“), ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ნიუ გლდანს“ შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ, დაინტერესებული პირის მიერ ხელშეკრულების 3.4 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გახანგრძლივებას, 2025 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოხსენებული ხელშეკრულების 3.4. პუნქტის შესაბამისად, კომპანია ვალდებული იყო იმ შენობა-ნაგებობ(ებ)ის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვება, სადაც განთავსდება გადასაცემი ფართი, უზრუნველყოფა ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან, 2024 წლის 1 ივლისიდან, არაუგვიანეს 1 (ერთი) წლის ვადაში (არაუგვიანეს 2025 წლის 1 ივლისის ჩათვლით).

მომხსენებლის განმარტებით, კომპანიამ 2025 წლის 23 აპრილს და 2025 წლის 15 მაისს წერილობითი განცხადებებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა ხელშეკრულებით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადის გახანგრძლივება არაუგვიანეს 2025

წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით. კომპანიის განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულება ვერ ხერხდება მათგან დამოუკიდებელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო. კერძოდ, კომპანია აღნიშნავს, რომ მათ მიერ, დაინტერესებაში არსებულ უმრავლეს შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმებისთანავე დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 11 ივლისის განცხადებით კომპანიამ მიმართა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (შემდგომში - „ურბანული განვითარების სააგენტო“) საპროექტო ტერიტორიის გრგ-ს გარეშე სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით, თუმცა საბოლოოდ საქმის წარმოება დასრულდა და უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საკითხზე თანხმობა გაცემულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს N426 განკარგულებით, ხოლო კომპანიას პასუხი/თანხმობა ეცნობა ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 21 აგვისტოს წერილით.

მომხსენებლისვე მითითებით, როგორც კომპანიამ განმარტა, ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ საკითხთან დაკავშირებით, 2024 წლის 30 ოქტომბრის განცხადებით მიმდინარე საქმის წარმოების ბოლო ეტაპზე მოთხოვნილ იქნა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის წარდგენა, რომლითაც გამოიკვეთა საპროექტო ტერიტორიის რთული რელიეფი, საჭირო გახდა მიწის კონფიგურაციის ცვლილება და დამატებით მის მომიჯნავედ არსებული 73 კვ.მ მიწის ნაკვეთის შესყიდვა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო დადგენილი კოეფიციენტ(ებ)ის ათვისება და არქიტექტურული პროექტის მომზადება ისეთი პარამეტრებით, რაც უზრუნველყოფდა კოოპერატივის წევრებისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი ფართ(ებ)ის გადაცემას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, კომპანიის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შესყიდულ იქნა მიწის ნაკვეთი და 2024 წლის 29 ოქტომბერს განხორციელდა მიწის ნაკვეთთან გაერთიანება. საკითხთან დაკავშირებით, საბოლოოდ თანხმობა გაცემულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 21 ნოემბრის ბრძანებით.

სერგო ბირკაძემ აქვე დასძინა, რომ ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეცვლილი კონფიგურაციის გათვალისწინებით, 2025 წლის 14 იანვარს კომპანიამ განცხადებით მიმართა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს (შემდგომში - „არქიტექტურის სამსახური“) საპროექტო მიწის ნაკვეთზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით, თუმცა, არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით დადგინდა ხარვეზი და საჭირო გახდა სამშენებლოდ განვითარების პირობებში (ე.წ. გაპ-ი) ცვლილების განხორციელება.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კომპანიის განმარტებით, ზემოხსენებულმა ობიექტურმა გარემოებებმა შეუძლებელი გახადა კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შესრულება. სააგენტოში, ასევე, წარდგენილ იქნა კოოპერატივის წევრების მიერ შექმნილი ამხანაგობა „ნიუ გლდანის“ 2025 წლის 19 ივნისის განცხადება, რომლითაც ამხანაგობა თანხმობას აცხადებს კომპანიისთვის მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადის განსაზღვრასთან დაკავშირებით არაუგვიანეს 2025 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით და ამასთანავე, აცხადებს და ადასტურებს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტთან/სააგენტოსთან და კომპანიასთან აღნიშნულთან დაკავშირებით, რაიმე სახის პრეტენზიის ან/და მოთხოვნის უფლება არ აქვს და არც შემდგომში წარმოეშობა.

მომხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ

მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის, ასევე განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტებისა და განკარგულების პრეამბულის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

აგრეთვე, საკითხის მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი დაზუსტების გათვალისწინებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 25 ივნისის N25.1056.1206 განკარგულების დანართით გათვალისწინებულ შეთანხმების პროექტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები და შეთანხმების ერთ-ერთი მხარის - ამხანაგობა „ნიუ გლდანის“ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, სწორად მიეთითოს ამხანაგობის სახელწოდება, ამხანაგობის თავმჯდომარისა და გამგეობის წევრების პირადი მონაცემები: სახელი, გვარი და პირადი ნომერი.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს:

- სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებით“ და ამავე ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერტის“ შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/ნ 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერტის“ შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების (შემდგომში - „შეთანხმება“) მე-4 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის, ამავე შეთანხმების 30.1 პუნქტის

შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმებამდე დასაკისრებელი/დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, ამავე შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შპს „ალფა ფროფერტის“ გათავისუფლებას;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული შეთანხმების (შემდგომში - „დამატებითი შეთანხმება“) პირობების გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილი განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების დანართი №2-ის შესაბამისად, აღნიშნულ პირთა მიერ დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული შესაბამისი საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების პირობით. წინამდებარე დანაწესის საფუძველზე, ქონების მიმღებ პირთა განსაზღვრა გულისხმობს ამ პირთა უფლებამოსილებას, კომპანიისგან მიიღონ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების დანართი №2-ით გათვალისწინებული ქონება ან/და დამატებითი შეთანხმების 5.5 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი ალტერნატიული შესრულება.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოხსენებული ხელშეკრულებითა და შეთანხმებით, მყიდველის ვალდებულებად განისაზღვრა, არაუგვიანეს 2025 წლის 29 აპრილისა, პრივატიზებული ქონების საზღვრებში, კერძოდ, განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე, შესაბამისი საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (ძირითად ლოტებზე) მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული შესაბამისი პირობისა და თავად მუნიციპალიტეტისთვის არანაკლებ 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა უფლებრივად უნაკლო, „თეთრი კარკასის“ მდგომარეობაში, მშენებლობადასრულებულ შენობა-ნაგებობაში.

მომხსენებლის განმარტებით, პრივატიზებულ ქონებაზე მყიდველის მიერ შეთანხმებული მშენებლობის პროექტები და ნებართვები შესაძლოა არ ითვალისწინებდეს სააგენტოს მიერ განსაზღვრული პირობის მიერ მისაღები ფართების ზუსტ პარამეტრებს და აღნიშნული პირობის ნაწილის დაკმაყოფილება განიხილება მყიდველის მიერ ალტერნატიული შესრულების განხორციელების გზით, რისი შესაძლებლობაც გათვალისწინებული იქნება დამატებითი შეთანხმების 5.5 პუნქტით. შესაბამისი ფართების (ან ალტერნატიული შესრულების) მიღების სანაცვლოდ, მესაკუთრეებმა მუნიციპალიტეტს უნდა გადასცენ საკუთრების უფლება ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან მათ საკუთრებაში არსებულ ფართებზე (და მათზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე), ხოლო მფლობელებმა უარი უნდა განაცხადონ მათ მიერ თვითნებურად დაკავებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ყოველგვარ მოთხოვნის უფლებაზე და მათ მიერ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ფაქტობრივად დაკავებული ფართები მფლობელობაში უნდა გადასცენ მუნიციპალიტეტს, ხოლო პრივატიზებულ ქონებაზე ფაქტობრივად დაკავებული ფართები - მყიდველს.

მომხსენებლისვე მითითებით, მყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოების მიერ განხორციელდება განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, შესაბამის საკადასტრო ერთეულზე სასტუმროს ნაცვლად მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი ფუნქცია არანაკლებ 85%) განთავსებისა და შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის/სართულიანობის გაზრდის თაობაზე, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული

მაჩვენებლის გაზრდის გარეშე თაობაზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის ამგვარი ცვლილების საფუძველზე, აღნიშნული საკადასტრო ერთეული განისაზღვრება დამატებით ლოტად, რომლის ფარგლებშიც მყიდველს ექნება იმ გადასაცემი ფართების ქონების მიმღები შესაბამისი პირებისათვის გადაცემის ვალდებულება, რომელთა დაკმაყოფილებაც ვერ განხორციელდა ძირითად ლოტებზე ან/და ალტერნატიული შესრულების გზით.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, სააგენტოს ენიჭება უფლებამოსილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობით, მყიდველის სასარგებლოდ უარი თქვას მუნიციპალიტეტის ფართების ან მისი ნაწილის საკუთრებაში მიღებაზე, მყიდველის მიერ, საკუთარი ხარჯით, გადასაცემი ფართის შესაბამისი ბინა-ერთეულების რემონტის (მათ შორის, ბინაში/ფართში შეყვანილი ცენტრალური კომუნიკაციების (წყალი, კანალიზაცია, ელექტროენერგია, გაზი) დგარები მრიცხველის მონტაჟის ჩათვლით) უზრუნველყოფის მიზნით, რა შემთხვევაშიც, მუნიციპალიტეტის მიერ მყიდველისთვის გადაცემული ქონების საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მყიდველის მიერ განსახორციელებელი რემონტის საერთო ღირებულებას.

მომხსენებლის განმარტებით, მყიდველის მიერ დარღვეულია გადასაცემი ფართების ქონების მიმღებ პირთათვის შესაბამის ვადაში გადაცემის ვალდებულება, რის გამოც, შეთანხმების 30.1 პუნქტის შესაბამისად, 2025 წლის 30 აპრილიდან ეკისრება მზარდი პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვალდებულების სრულად შესრულებამდე, დღიურად - დარჩენილი გადასაცემი ქონების საბაზრო ღირებულების 0.01%-ის ოდენობით (დაანგარიშდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 27 თებერვლის დასკვნით), რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების გამოცემის თარიღისათვის ჯამურად შეადგენდა - 164 564,4 ლარს, ხოლო დარჩენილი გადასაცემი ფართების ოდენობა შეადგენს 7000 (შვიდი ათასი) კვ.მ.-ს. ამასთან, პირგასამტეხლო ზრდადია, დღიურად - 2 109,8 ლარის ოდენობით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2025 წლის 15 ივლისს წარდგენილი განცხადებით, მყიდველის მიერ მოთხოვნილია ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, ქონების მიმღებ პირთათვის ფართების გადაცემის ვადის გაზრდა 6 (ექვსი) თვით - არაუგვიანეს 2025 წლის 29 ოქტომბრისა. მყიდველის მიერ ასევე მოთხოვნილია ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება. ამასთან, მყიდველი აცხადებს მზადყოფნას:

- გაიღოს მაქსიმალური ძალისხმევა ქონების მიმღები პირების შესაბამისი ფართებით ან ალტერნატიული შესრულებით დაკმაყოფილებისათვის;
- თუკი მყიდველი გაზრდილ ვადაში ვერ დააკმაყოფილებს ქონების მიმღებ პირებს სრულად, დარჩენილი გადასაცემი ფართების შესაბამისი ბინა-ერთეულებს გაითვალისწინებს დამატებითი ლოტის ფარგლებში დაგეგმილი შენობა-ნაგებობის პროექტირებისას და ქონების მიმღებ პირებს დააკმაყოფილებს აღნიშნული ლოტიდან.

მომხსენებლის მითითებით, დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ვალდებულების დარღვევისთვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობაზე დამატებით, მყიდველი გადაიხდის პირგასამტეხლოს იმ ოდენობით, რომელიც დაერიცხებოდა 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის დღიდან (30.04.2025 წ.) შესაბამისი ვადების ცვლილების გარეშე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 27 თებერვლის დასკვნით

დადგენილი ოდენობის გათვალისწინებით, შეთანხმების 30.1 პუნქტის პირობების შესაბამისად.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქონების მიმღებ პირთა ნაწილი განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების დანართი №2-ით.

მომხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია წინამდებარე საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-2 და მე-3 პუნქტების ტექნიკურად გამართვის, ასევე განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტებისა და განკარგულების პრეამბულის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ჯიერ ქონსტრაქშენს“ (დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა ვარკეთილი“) შორის 2023 წლის 9 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, N01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5397 კვ. მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულების 3.1. და 3.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ნაწილისგან 834 750 ლარის ოდენობით, შპს „დეკა ვარკეთილის“ გათავისუფლებას, იმ პირობით, რომ შპს „დეკა ვარკეთილის“ მიერ განხორციელდება 92 750 ლარის გადახდა არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

- კომპანია ვალდებულია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში, შესაბამისი სამშენებლო ნებართვების საფუძველზე განხორციელოს შენობა-ნაგებობების მშენებლობა და შესაბამისი ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების

საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, კოოპერატივების წევრებს გადასცეს საკუთრების უფლება ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ფართებზე. შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, ხოლო შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის დასრულებისათვის გათვალისწინებულ ვადაში, აღნიშნული ფართები გადასცეს მათ ფაქტობრივად ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით (ხელშეკრულების 3.1. პუნქტი);

- კომპანია ვალდებულია შენობა-ნაგებობ(ებ)ის სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვება უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვის ვადაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით (ხელშეკრულების 3.4. პუნქტი).

მომხსენებლის მითითებით, კომპანიის მიერ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი განცხადებების თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულება ვერ მოხერხდა კომპანიისაგან დამოუკიდებელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო. კერძოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მოთხოვნით კომპანიამ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს (შემდგომში - „არქიტექტურის სამსახური“) მიმართა 2023 წლის 5 აპრილის განცხადებით (რაც დასტურდება არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) განთავსებული ინფორმაციის თანახმად). თუმცა, ვერ მოხერხდა არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, ვინაიდან, არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 აპრილის, 2023 წლის 13 ივნისის, 2023 წლის 6 ივლისის და 2023 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებებით კომპანიას დაუდგინდა რიგი ხარვეზები, ამასთან მოთხოვნილ იქნა შემდეგი დოკუმენტაციის/შესაბამის უწყებათა პოზიციის დაფიქსირება/თანხმობების წარდგენა, კერძოდ:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 25 მაისის წერილის თანახმად, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები სააგენტოს მიერ შეთანხმებული იყო იმ პირობით, რომ ტროტუარის ნაწილი, რომელიც მდებარეობს საპროექტო ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, დაიტვირთებოდა საჯარო სერვისტუტით;

2. საქართველოს თავდაცვის მინისტრის წერილის მიხედვით, ხაზოვან (ობიექტის ტიპი: მილსადენი; ობიექტის აღწერა: წყლის ქსელი; დაფარვის ზონა: აბაშვილის N3; მესაკუთრე: სახელმწიფო) ობიექტთან დაკავშირებით უნდა წარედგინათ ხაზოვანი ნაგებობის შეთანხმებული გადატანის პროექტი და დამოწმებული გენ. გეგმა.

3. შპს „თბილისი ენერჯის“ 2023 წლის 8 თებერვლის წერილის გათვალისწინებით, პროექტის შეთანხმების სტადიაზე, მშენებლობისთვის შეზღუდული ტერიტორია უნდა დატვირთულიყო სერვისტუტით, ნაკვეთზე მდებარე გაზსადენის ლერძიდან ორივე მხარეს 1 მეტრის მანძილზე.

როგორც სერგო ბირკაძემ აღნიშნა, არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 აპრილის ბრძანებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. თუმცა, აღნიშნული მშენებლობის ნებართვით გაწერილი გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების დაწყებისთანავე, კერძოდ, სამირკვლის სამუშაოების შესრულების დროს, მიწის ნაკვეთის წითელ ხაზებში აღმოჩენილ იქნა არარეგისტრირებული ხაზობრივი ნაგებობები: მაღალი ძაბვის დენის გადამცემი კაბელი, თავდაცვის სამინისტროს დამატებითი წყალსადენ-წყალარინების ქსელი და ჭა, რამაც სრულად შეცვალა პროექტის განხორციელების მიმდინარეობის გეგმა-გრაფიკი. შესაბამისად, აუცილებელი გახდა ახალი არქიტექტურული პროექტის შედგენა - ხიმიწვების მოწყობის პროექტით და შენობა-ნაგებობების განთავსების ადგილის კორექტირება.

მომხსენებლის განმარტებით, კომპანიამ ე.წ. განშლის რეგისტრაცია განახორციელა უკვე ახალი არქიტექტურული პროექტის შეთანხმების/გაცემული სამშენებლო ნებართვის შემდგომ, რომელიც, თავის მხრივ, გაიცა არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 ნოემბრის ბრძანებით. ამასთანავე, მარეგისტრირებელი ორგანოს მხრიდან ცალკეული სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში წარდგენილი ე.წ. განშლის ოქმი არასაკმარის საფუძვლად იქნა მიჩნეული საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის და მოთხოვნილ იქნა კოოპერატივის წევრების მხრიდან შესაბამისი უძრავი ნივთის მიღებაზე დამატებით ნების გამოხატვა.

მომხსენებლის მითითებით, კომპანიას სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვება უნდა უზრუნველყო ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვის ვადაში ანუ 2023 წლის 9 დეკემბრამდე (იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულება გაფორმდა 2023 წლის 9 მარტს). შესაბამისად, 2023 წლის 9 დეკემბრიდან 2024 წლის 23 აპრილამდე (სამშენებლო ნებართვის ფაქტობრივად აღებამდე) გასულია 136 დღე, რისთვისაც ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების 3.4. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 340 000 ლარს.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სამშენებლო ნებართვის საფუძველზე კომპანიას ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციის (ე.წ. „განშლა“) გზით, შესაბამის ფართებზე კოოპერატივის წევრების/ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრების უფლების რეგისტრაცია უნდა განეხორციელებინა შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან, მოცემულ შემთხვევაში, 2024 წლის 23 აპრილიდან - არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში ანუ არაუგვიანეს 2024 წლის 23 ივნისის ჩათვლით. შესაბამისად, 2024 წლის 23 ივნისიდან 2025 წლის 13 თებერვლამდე (ე.წ. ცალკეულ ინდივიდუალურ ფართებზე კოოპერატივის წევრ(ებ)ის/ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის, ბოლო ამონაწერ(ებ)ის ფაქტობრივი მდგომარეობით დასრულებამდე) გასულია 235 დღე, რისთვისაც კომპანიისთვის ხელშეკრულების შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 587 500 ლარს. ორივე ვალდებულების დარღვევისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ჯამურად 927 500 ლარით.

სერგო ბირკაძის განმარტებით, კომპანიამ ითხოვა ზემოაღნიშნული პირგასამტეხლოს ნაწილობრივ პატიება და აღნიშნული საკითხის გადაჭრის ალტერნატიულ გზაზე მსჯელობა. კერძოდ, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მან მზაობა განაცხადა გადაიხადოს პირგასამტეხლოს ოდენობა საბანკო გარანტიის 0.01%-ის ოდენობით ანუ 92 750 ლარის ოდენობით.

მომხსენებლის განმარტებით, საქართველოს სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე, დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა მცირდება დაახლოებით ათჯერ (ანუ სტატისტიკური ანალიზის მიხედვით, 0.1%-ის ნაცვლად განისაზღვრება 0,01%-ით). თუმცა, ვინაიდან კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტს/სააგენტოს შესაბამის კომპანი(ებ)თან გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში სასამართლო დავა არ წარმოშობილა და შესაბამისად, პრაქტიკა უშუალოდ ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებით არ დადგენილა, სააგენტო ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მომხსენების მიწერულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ვინაიდან, მოცემული სოციალური პროექტის ფარგლებში ხორციელდება კოოპერატივის 45 წევრის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რაც მუნიციპალიტეტისთვის/სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული საკითხია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია

წინამდებარე საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის, ასევე განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტებისა და განკარგულების პრეამბულის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს 2020 წლის 25 თებერვალს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციას“ შორის გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებაში“ **ცვლილებების შეტანას, კერძოდ იზრდება კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების ვადა 2 წლით (2027 წლის 25 თებერვლამდე) და ასევე, ქონების შემძენი თავისუფლდება კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების ვალდებულების დარღვევის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, სამგორის რაიონში (ლილოს მიმდებარედ) არსებული 91 642.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (გამიჯვნის შედეგად ფორმირებულია - 15587 კვ.მ. და 76055 კვ.მ.; შემდგომში: ქონება), **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** და ხელშეკრულების მე-3 მუხლის მიხედვით, **საპრივატიზებო პირობებად განისაზღვრა პრივატიზებულ ტერიტორიაზე საწვრთნელ-გასართობი საავტომობილო სპორტული კომპლექსის მოწყობა/მშენებლობა და მისი ექსპლუატაციაში მიღება ამ ხელშეკრულების დადებიდან ხუთი წლის ვადაში და საწვრთნელ-გასართობი საავტომობილო სპორტული კომპლექსის პროფილის შენარჩუნება მუდმივად (ხელშეკრულების 3.1 და 3.2 პუნქტი).** ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმდა 2020 წლის 25 თებერვალს, 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობა უნდა შესრულებულიყო არაუგვიანეს 2025 წლის 25 თებერვლისა.

მომხსენებლის მითითებით, ვინაიდან ქონების შემძენის მიერ ვერ შესრულდა ხელშეკრულების 3.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულება, ამავე ხელშეკრულების 6.2 პუნქტის შესაბამისად, **დაინტერესებულ პირს 2025 წლის 26 თებერვლიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ეკისრება პირგასამტეხლო 50 ლარის ოდენობით, რაც დაიანგარიშება 2025 წლის 26 თებერვლიდან წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმებამდე**

პერიოდისთვის. 2025 წლის 23 ივლისის მდგომარეობით, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო 7 400 ლარის ოდენობით, რომელიც ზრდადია დღიურად 50 ლარით.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა ქონების შემძენის მიერ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში 2025 წლის 7 თებერვალსა და 2025 წლის 22 ივლისს წარდგენილ განცხადებებზე და აღნიშნა, რომ დაინტერესებული პირის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების ვადის დარღვევა გამოწვეულ იქნა კომპლექსის მშენებლობის პროცესში წარმოშობილი და გამოვლენილი შემაფერხებელი გარემოებებით. კერძოდ, ქონების შემძენის განმარტებით, მიუხედავად Covid-19 პანდემიისა, პროექტის პირველი ნაწილი (საწვრთნელი და საშეჯიბრო ტრასა) მოეწყო 2022 წელს და დღემდე ფუნქციონირებს. მოწყობილი ინფრასტრუქტურით უკვე 3 წელია აქტიურად სარგებლობენ, როგორც რიგითი მოქალაქეები, ისე თავად ქონების შემძენი. ამასთან, ვინაიდან ქვეყნის მასშტაბით არ არსებობდა მსგავსი საწვრთნელ-გასართობი საავტომობილო სპორტული კომპლექსის მშენებლობის ნომენკლატურა და არქიტექტურული პრაქტიკა, საჭირო გახდა რიგი პრობლემების ინდივიდუალური გადაწყვეტა. გარდა ამისა, პროექტის მიმდინარეობისას საჭირო გახდა პრივატიზებული ქონების 2 ნაწილად გამოიჯვნა, ვინაიდან აღნიშნულ ნაკვეთზე უნდა გაიაროს კახეთის ჩქაროსნულმა მაგისტრალმა. აღნიშნულის გამო, სამშენებლო პროექტი განხორციელდება გამოიჯვნის შედეგად წარმოშობილ ძირითად საკადასტრო ერთეულზე (76055 კვ.მ.); ასევე, ამ ეტაპზე საპროექტო სამუშაოები დასრულებულია და მიმდინარეობს წარმოება სანებართვო დოკუმენტაციის შეთანხმებაზე. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ქონების შემძენის მიერ მოთხოვნილ იქნა ხელშეკრულების 6.2 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათვალისწინება, ამავე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების ვადის გაზრდა 2 (ორი) წლით (2027 წლის 25 თებერვალი) და ასევე, მოთხოვნილია თანხმობა კომპლექსის მშენებლობის ქონების ნაწილზე განხორციელების თაობაზე (ნაცვლად ქონების სრული ტერიტორიისა).

მოხსენების მიწურულს, სერგომ ბირკაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტით გათვალისწინებული შეთანხმების პროექტით ცვლილება შედის ხელშეკრულებაში, რომლითაც იზრდება კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების ვადა 2 (ორი) წლით. ამასთან, ქონების შემძენი თავისუფლდება კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების ვალდებულების დარღვევის საფუძველზე, წინამდებარე შეთანხმების გაფორმების დღემდე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან - გაზრდილ ვადებში კომპლექსის მშენებლობის დასრულების პირობით. ამავდროულად, ქონების შემძენს მიეცემა შესაბამისი თანხმობა, რომ კომპლექსის მშენებლობა განხორციელოს ქონების სრულ ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების

პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ნაზი ზაქრამეს (უფლებამონაცვლე: სს „მარიგ ულუსლარასი ელითიმ ქურუმლარი“) შორის 2017 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-372-22-21460 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასა და ქალაქ თბილისში, ლისზე მდებარე 2917.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე აღნიშნული ხელშეკრულების „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის - „სკვერის მოწყობა“ გაუქმებას, იმ პირობით, რომ სს „მარიგ ულუსლარასი ელითიმ ქურუმლარი“, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) მიერ მასთან შესაბამისი შეთანხმების გაფორმებისა და ამავე მიწის ნაკვეთზე არსებული ფუნქციური ზონის სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 1 980 643 ლარის გადახდას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2023 წლის 18 აგვისტოს დაინტერესებულმა პირმა განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა ქონებაზე არსებული შეზღუდვის („სკვერის მოწყობა“) გაუქმება და მიწის ნაკვეთზე არსებული ფუნქციური ზონის ცვლილება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1)-ით.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 7 დეკემბრის წერილით წარმოდგენილ პოზიციაზე, რომლის თანახმად, შესაძლებლად იქნა მიჩნეული ქონებაზე არსებული პირობის („სკვერის მოწყობა“) გაუქმება.

მომხსენებლის განმარტებით, სააგენტოს 2023 წლის 4 ოქტომბრის წერილით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ეთხოვა დასკვნის მომზადება, რომელიც ასახავდა დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის სრულ საპრივატიზებო ღირებულებასა და აუქციონის დროისთვის ამავე მიწის ნაკვეთზე სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) - ის გათვალისწინებითა და პირობის („სკვერის მოწყობა“) გარეშე დადგენილ ღირებულებას შორის სხვაობას, წერილობითი მიმართვის დროისთვის არსებული მდგომარეობით.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 6 ნოემბრის წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ ბიუროსთვის უცნობი იყო მიმდებარე ტერიტორიაზე 2017 წლის მდგომარეობით (აუქციონის დროისთვის) ყიდვა-გაყიდვის შესახებ ინფორმაცია, შესაბამისად ვერ განხორციელდა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების დადგენა.

სერგომ ბირკაძემ აქვე დასძინა, რომ სააგენტოს 2025 წლის 8 მაისის წერილით სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს კვლავ ეთხოვა დასკვნის მომზადება, რომელიც ასახავდა დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის დღევანდელ საბაზრო ღირებულებას:

- სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1)-ის გათვალისწინებითა და პირობის - „სკვერის მოწყობა“ - გარეშე;
- სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ის გათვალისწინებითა და პირობით „სკვერის მოწყობა“.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 11 ივლისის დასკვნის მიხედვით:

- ქ. თბილისში, ლისში მდებარე, 2917 კვ.მ მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2025 წლის 11 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენს 2 774 067 ლარს (დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე ექსპერტების მიერ მიწის ნაკვეთი

შეფასდა სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) გათვალისწინებით და პირობის - „სკვერის მოწყობა“ - გარეშე);

- ამავე მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2025 წლის 11 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენს 793 424 ლარს (დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე ექსპერტების მიერ მიწის ნაკვეთი შეფასდა სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) გათვალისწინებით და პირობით - „სკვერის მოწყობა“).

შესაბამისად, ქონების ამჟამინდელ და მყიდველის მიერ მოთხოვნილ მდგომარეობებს შორის ფასთა სხვაობა შეადგენს 1 980 643 ლარს.

მომხსენებლის მითითებით, მყიდველმა თანხმობა განაცხადა ქონებაზე პირობის („სკვერის მოწყობა“) გაუქმებისა და არსებული ფუნქციური ზონის სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1)-ით ცვლილების შემთხვევაში, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადგენილ ფასთა შორის სხვაობის გადახდის თაობაზე.

მომხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესატანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში, პირველ სართულზე არსებული 545.99 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაში პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით (2 (ორი) წლის ვადით) განთავსებულია შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედის“ გლდანის ფილიალი, რომელიც დევნილთა კონცენტრაციის მიხედვით, ყველაზე მეტად დატვირთულია და ყოველწლიურად 3959 ბენეფიციარს ემსახურება. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2024 წლის განმავლობაში, პოლიკლინიკაში განხორციელდა 11,000-მდე ვიზიტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამედიცინო ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ითხოვა

დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით განმეორებით გადაცემა.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 2 მაისის წერილობით პოზიციაზე, რომლის თანახმად, **აღნიშნული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემას მიეცა დადებითი შეფასება.**

მომხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, შპს „სამედიცინო ცენტრ დიომედისტვის“ გადაცემა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- უსასყიდლო უზუფრუქტის მოქმედების პერიოდი განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით;
- უსასყიდლო უზუფრუქტის მოქმედების პირობები განისაზღვროს განკარგულების დანართის შესაბამისად.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ა(ა)იპ „თბილისის ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის“ ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, 4 (ოთხი) წლის ვადით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, 2025 წლის 28 ივნისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს წერილობითი განცხადებით მიმართა ა(ა)იპ „თბილისის ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციის“ დირექტორმა იაკობ დეისაძემ და ითხოვა **ზემოაღნიშნული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემა 4 (ოთხი) წლის ვადით, საინვესტიციო ვალდებულების განხორციელების პირობებით.** ასოციაცია აღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში იღებს ვალდებულებას, **18 თვის ვადაში უზრუნველყოს ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის სამუშაოების წარმოება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, რისთვისაც ასოციაცია ჯამურად, 719 913,00 ლარის ინვესტიციას განახორციელებს.**

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წერილობით პოზიციაზე, რომლის თანახმად, აღნიშნული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება, შესაბამისი ვალდებულებების შესრულების პირობით.

მომხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 4 წლის ვადით, ა(ა)იპ „თბილისის ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის“ გადაცემის შესახებ საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქმეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის, ასევე განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის დამატების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 2098 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით განმეორებით, 2 წლის ვადით, ა(ა)იპ „ასოციაცია აგორასთვის“ გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2017 წლის 29 აგვისტოს ბრძანებით, დაინტერესებულ პირს აღნაგობის უფლებით გადაეცა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელზეც 2020 წლის 30 დეკემბრამდე უნდა განეხორციელებინა მეფუტკრეობის განვითარების მრავალფუნქციური რეგიონული ცენტრის მშენებლობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება, ფუნქციონირების დაწყება და აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, არანაკლებ 400 000 ევროს ეკვივალენტი ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით. აღნიშნული ვალდებულებები დაინტერესებული პირის მიერ შესრულებულ იქნა.

მომხსენებლის განმარტებით, ა(ა)იპ „ასოციაცია აგორას“ აღმასრულებელმა დირექტორმა თენგიზ სვანიძემ წერილობითი განცხადებებით მიმართა სააგენტოს და ვინაიდან იჭურებოდა სარგებლობის უფლების ვადა, მოითხოვა ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 2098 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით განმეორებით გადაცემა, 2 წლის ვადით, გამწვანებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით. აღნიშნული წერილის თანახმად, დაინტერესებულმა პირმა განახორციელა მიწის მოსწორების, შემოღობვის, ტერასების მოწყობის, სხვადასხვა ჯიშის მცენარეების დარგვისა და ბალახის საფარის მოწყობის სამუშაოები, რითაც ცენტრმა მიიღო საბოლოო, დახვეწილი ფორმა და დედაქალაქს შეემატა კიდევ ერთი თანამედროვე სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება. დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის განმეორებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შემთხვევაში, ასოციაცია, თავის მხრივ, ამ ფართობზე, მერიის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით, გააგრძელებს ტერიტორიის მოვლა-პატრონობას, ოპტიმალური დაგეგმარებისა და ლანდშაფტური დიზაინის პროექტის შემუშავებას, უზრუნველყოფს ტერიტორიის შემდგომ გამწვანებასა და კეთილმოწყობას (მსუბუქი კონსტრუქციის, მცირე ფართის ე.წ. „აპისახლებით“, ფანჯატურებით და სხვ.) რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ცენტრის მიმზიდველობას ვიზიტორებისათვის და შესაბამისობაში მოიყვანს მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან და შენობის ორიგინალურ დიზაინთან - მით უმეტეს, რომ ცენტრი მდებარეობს უბანში, სადაც მზარდი მშენებლობების ფონზე საგრძნობლად შემცირდა ე.წ. მწვანე სივრცეების მოცულობა.

მომხსენებლის მიწერულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აჭარი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე. ასევე კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში დაემატოს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტები.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეშვიდმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების

პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N1, შენობა-ნაგებობა N1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ ფართიდან 202.03 კვ.მ ფართის სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, განმეორებით 2 წლის ვადით, ა(ა)იპ „საქართველოს გენერალთა კლუბისთვის“ გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს“, რომლის 2025 წლის 27 მაისის წერილობითი პოზიციის თანახმად, ა(ა)იპ „საქართველოს გენერალთა კლუბი“ 2008 წელს, უმაღლესი რანგის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა მიერ დაფუძნდა, რომლის ძირითად მიზანსაც წარმოადგენს შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე ოფიცერთა ინტელექტუალური რესურსის გამოყენებით, სამოქალაქო თავდაცვის, სამხედრო და ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის სფეროების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნით, ა(ა)იპ „საქართველოს გენერალთა კლუბი“ ატარებს კვლევებს, ამზადებს საკანონმდებლო წინადადებებს, საქართველოს მასშტაბით სამართლებრივ და სოციალურ დახმარებას უწევს ვეტერანებსა და მოქმედ სამხედრო მოსამსახურეებს, ახორციელებს გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა სახელების უკვდავყოფისათვის შესაბამის ღონისძიებებს. ასევე აღნიშნულია, რომ ა(ა)იპ „საქართველოს გენერალთა კლუბი“, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ერთად არის ა(ა)იპ „ახალგაზრდობა და ვეტერანები ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის“ დამფუძნებელი. კერძოდ, ორგანიზაცია, „საქართველოს გენერალთა კლუბის“ აქტიური მხარდაჭერით, უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთა უსასყიდლოდ მომზადებას მათ მიერ თავდაცვის სფეროში მოხალისის სტატუსის მისაღებად. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში, ორგანიზაციამ გააფორმა მემორანდუმები სხვადასხვა საჯარო, საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო (კოლეჯები, უნივერსიტეტები), სპორტულ ორგანიზაციასთან, რომლის შედეგადაც, ამ ორგანიზაციებიდან მოზიდულ იქნა მოხალისეობის კანდიდატები. ორგანიზაციამ შესაბამისი სასწავლო კურსი გაატარა 1000-ზე მეტ დაინტერესებულ პირს (სტუდენტები, სპორტსმენები და სხვა). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ დადებითად შეფასდა დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადაცემა.

მომხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით, ა(ა)იპ „საქართველოს გენერალთა კლუბისთვის“ გადაცემის შესახებ საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე. ასევე კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში დაემატოს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტები.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 2306 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მოქალაქე მედეია იაშაღაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დაინტერესებულმა პირმა წერილობითო განცხადებებით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და ითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებული 3000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობა, ვინაიდან აღნიშნული უძრავი ქონება ზედღებამა ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ უძრავ ქონებასთან, რომელიც სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) 2015 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით დარეგისტრირდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად და შემდგომში გასხვისებულ იქნა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) მიერ 2015 წლის 9 დეკემბერს ჩატარებულ ელექტრონულ აუქციონზე. ამასთან, აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ მითითებული უძრავი ქონება 2018 წელს გასხვისდა მესამე პირზე.

მომხსენებლის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მედეია იაშაღაშვილის სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებული უძრავი ქონების რეგისტრაციასთან და აუქციონის ფორმით განკარგვასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ხოლო კანონიერ ძალაში შესული რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებები.

მომხსენებლის მითითებით, მედეია იაშაღაშვილის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, სააგენტომ დაინტერესებულ პირს შესთავაზა მის საკუთრებაში, დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული 3000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 2004 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების დათმობის სანაცვლოდ, არსებითად მსგავსი ღირებულების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში არსებული 2 306 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა. ამასთან, მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის საპრივატიზებო პირობებად განისაზღვრება შემდეგი:

- მედია იაშადაშვილის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ან/და მისი ორგანოების მიმართ ყოველგვარ მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელზე, ნებისმიერი სახის სამართლებრივ დავაზე ან/და პრეტენზიაზე უარის თქმა დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული 3000 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 2004 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან მიმართებით;
- ამასთან, მედია იაშადაშვილი ვალდებულია, მიმართოს საჯარო რეესტრს და მოითხოვოს მის საკუთრებაში დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრირებული საკადასტრო ერთეულის მონაცემების ცვლილება და აღნიშნული მიწის ნაკვეთის დაუზუსტებელი ფართობით - 996 კვ.მ-ით მის საკუთრებაში რეგისტრაცია.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 23 აპრილის წერილით, ქალაქგეგმარებითი კუთხით, შესაძლებლად იქნა მიჩნეული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე უძრავი ქონების განკარგვა (გაცვლის ფორმით) და სანაცვლოდ, დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დათმობა.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომში: „ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“) 2025 წლის 19 თებერვლის ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ქ. თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე, დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული 3000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთიდან 2004 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2025 წლის 14 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 507 012 ლარის ოდენობით, ხოლო ამავე დასკვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ, 2025 წლის 14 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა 583 418 ლარი.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, საკრებულოსთან შეთანხმებით საპრივატიზებო საფასურად განსაზღვრავს მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის (76 406 ლარი) არანაკლებ ოდენობას, რომლის გადახდაზეც დაინტერესებულმა პირმა წერილობითი თანხმობა განაცხადა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდასანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის, ასევე განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების დამატების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული

რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლება, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში, პირველ სართულზე არსებული 58.06 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ქეთევან შულაიასთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა კრწანისის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი შეიღებთან ერთად დაახლოებით 20 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება კრწანისის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებითა და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეოცე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში, მეოთხე სართულზე არსებული 52.03 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე გიორგი ცხონდიასთვის

საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი 2008 წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებითა და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეერთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი N18-ში, პირველ სართულზე არსებული 18.13 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე მარინე მილადისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ნაძალადევის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი 2008 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ნაძალადევის რაიონის გამგეობის

შემოწმების აქტითა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „კოდორის“ 2024 წლის 21 ოქტომბრის კრების ოქმით;

- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოიხსენეს:

22. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ მაყაშვილის ქუჩა N19ე-ში, პირველ სართულზე არსებული 34.45 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების გზით, მოქალაქე კობა ჩოგოვადისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევიტ გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე 2005 წლიდან. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტითა და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის მიმდებარედ არსებული 1150 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა წერილობითი განცხადებებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმად, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი და მე-2 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ განაშენიანების რეგულირების წესების მე-15 მუხლის 10¹ პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული რეგულირება ასევე გავრცელდება იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთზე სზ-5, სზ-6, სსზ-1, სსზ-2 ფუნქციურ ზონებთან ერთად ვრცელდება სზ-3 ფუნქციური ზონა და საპროექტო შენობა-ნაგებობა განთავსდება უფრო მაღალი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის მქონე ზონის ნაწილში. აღნიშნული წესი არ გავრცელდება კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებზე.

თემურ ბოლოთაშვილის განმარტებით, განაშენიანების რეგულირების წესების მე-20 მუხლის შესაბამისად, ისტორიულად ჩამოყალიბებული დაბალი ან/და საშუალო ინტენსივობის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე, ე.წ. „თბილისურ ეზოებზე“, მიშენება/დაშენების განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, ხოლო კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში – „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამი შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო“. ცვლილებით ემატება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, ზემოაღნიშნული საბჭო მითითებულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს - ერთიანი პროექტის საფუძველზე, შენობის საერთო იერსახის გათვალისწინებით.

მომხსენებლის განმარტებით, შემდგომი ცვლილებით, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე დაშენება, მიშენება ან/და მანსარდის მოწყობასთან დაკავშირებით განსაზღვრული 18 თვიანი ვადა არ გავრცელდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებზე. შესაბამისად, არც დაშენებაზე, მიშენებაზე ან/და მანსარდის მოწყობაზე მშენებლობის ნებართვის ვადის (6 თვე) გაგრძელების ან განახლების წესი არ გავრცელდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებზე. პრაქტიკაში არსებულმა შემთხვევებმა ცხადყო, რომ დაშენება, მიშენება ან/და მანსარდის მოწყობასთან დაკავშირებით განსაზღვრულმა კონკრეტულმა ვადამ, შესაძლოა უფრო მეტად დააზიანოს ძეგლის ინტერესები და საფრთხე შეუქმნას მის სათანადო დაცულობას.

მომხსენებლისვე მითითებით, ცვლილება შედის განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-7 პუნქტში, რომლის მიხედვითაც, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ შემდეგ ზონებში - ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა და განაშენიანების რეგულირების ზონა - ფუნქციური ზონით დადგენილი განაშენიანებისა და გამწვანების პარამეტრები არ გაითვალისწინება, თუ შენობა-ნაგებობას ჰქონდა ან ფაქტობრივად აქვს აღნიშნული პარამეტრები დარღვეული. წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, აღნიშნულ პუნქტში დაემატება ჩანაწერი, რომლის თანახმად, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, საპროექტო შენობის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) საანგარიშო ფართობი არ უნდა აღემატებოდეს არსებული კანონიერი შენობა-ნაგებობის/ების განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) საანგარიშო ფართობს და შენარჩუნებული იქნება მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის/ნაგებობების განთავსების გეგმარებითი სტრუქტურა.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ განაშენიანების რეგულირების წესების 30-ე მუხლის თანახმად, მიჯნის ზონაში შენობის ბოლო სართულის გადახურვაზე დასაშვებია ტერასის მოწყობა, ცვლილების პროექტის თანახმად კი ზუსტდება და მიჯნის ზონაში, ისევე, როგორც ბოლო სართულის გადახურვაზე, შენობის ბოლო სართულზეც დასაშვებია იქნება ტერასის მოწყობა, რაც მიზნად ისახავს შენობების მხატვრული იერსახის დახვეწას და სამომავლოდ, უნებართვო სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პრევენციას.

თემურ ბოლოთაშვილმა ყურადღება გაამახვილა კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცვლილებაზე და აღნიშნა, რომ პრაქტიკაში არსებული შემთხვევების სრულყოფის მიზნით, ზუსტდება განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზი ისეთ შემთხვევაში, როდესაც მიწის ნაკვეთის ნაწილს არ გააჩნია საზოგადოებრივი საზღვარი და მიწის ნაკვეთის ამ ნაწილში უნდა განთავსდეს შენობა. კერძოდ, თუ მიწის ნაკვეთის ნაწილს არ გააჩნია საზოგადოებრივი საზღვარი, მაშინ მიწის ნაკვეთის ამ ნაწილში შენობის განთავსებისას, განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზი უნდა დადგინდეს მისი სამეზობლო საზღვრ(ებ)იდანაც.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებით, L-ის (დაშორება შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეს ან/და სამეზობლო საზღვარს შორის) განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება შენობის ისეთი ნაწილი, რომელიც გამოწეულია შენობის საანგარიშო ზედაპირიდან, წარმოადგენს შენობის სიმაღლის არაუმეტეს 20%-ს და გრუნტთან შეხების ყველაზე დაბალი წერტილიდან არის არაუმეტეს 20 მეტრი სიმაღლის. შენობის ასეთი ნაწილისთვის დამოუკიდებლად უნდა იქნეს დაცული ამ მუხლით დადგენილი სიმაღლის განსაზღვრის წესი.

მომხსენებლის მითითებით, განაშენიანების რეგულირების წესების 37-ე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულია; რომ თუ მიწის ნაკვეთი ხვდება საცხოვრებელ ზონასთან ერთად სატყეო ზონის, სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ან ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოქმედების არეალში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, ლობის მოწყობა დასაშვებია ამავე მუხლით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით. წარმოდგენილი

ცვლილებით, აღნიშნული ასევე შესაძლებელი იქნება, თუ მიწის ნაკვეთი საცხოვრებელ ზონასთან ერთად ხვდება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოქმედების არეალში. ასეთ შემთხვევაში, სატყეო ზონის, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ), სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ან სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოქმედების არეალი არ უნდა აღემატებოდეს მიწის ნაკვეთის საერთო ფართობის 10%-ს.

მომხსენებელმა აქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისთვის ხელის შეწყობა, ამასთან არქიტექტურული პროცესების სწორად მართვა და ეფექტური და სწორი ქალაქგეგმარებითი განვითარება.

თემურ ბოლოთაშვილმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე; ხოლო განაშენიანების რეგულირების წესების მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტსა და 21-ე მუხლის მე-7 პუნქტში გათვალისწინებული ცვლილებით განსაზღვრული საპროექტო შენობის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) საანგარიშო ფართობის ნაწილში დადგენილი რეგულირება გავრცელდება ამ დადგენილების ამოქმედებამდე არსებულ სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე წარმოშობილ ურთიერთობებზეც. ამასთან, განაშენიანების რეგულირების წესების 31-ე მუხლის მეორე პუნქტსა და მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული ცვლილებით დადგენილი რეგულირება არ გავრცელდება ამ ცვლილების ამოქმედებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე, თუ მიწის ნაკვეთზე უკვე შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი.

საკითხის წარდგენა განაგრძო ნინო ბაგაშვილმა და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტები, რაც გულისხმობს საზოგადოებრივ-საქმიან ზონებში (სსზ-1; სსზ-2) სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით საცხოვრებელი ფუნქციის 95%-მდე დაშვებას.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება ეხება ასევე განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებს. კერძოდ, იცვლება განაშენიანების რეგულირების პარამეტრების (კ1; კ2) დათვლის (გასაშუალოების) წესი, იმ შემთხვევისთვის, როდესაც მიწის ნაკვეთი, რომელზეც გადამეტებულია განაშენიანების რეგულირების პარამეტრები, ერთიანდება სხვა მიწის ნაკვეთთან. ამოღებულ იქნება მე-5 პუნქტის შენიშვნა და მე-6 პუნქტი. შესაბამისად, შემოერთებული და საპროექტო მიწის ნაკვეთების გაერთიანება მოხდება სრული ფართობებით და სამშენებლო პოტენციალით.

მომხსენებლისგან მითითებით, განაშენიანების რეგულირების წესების 24-ე მუხლს ემატება 7³ პუნქტი, რომლის თანახმად, 2020 წლის 1 იანვრიდან განაშენიანების რეგულირების წესებთან შეუსაბამოდ გამიჯნულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა დასაშვებია გახდება სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის მიერ, მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გამიჯვნის შემთხვევაზე (მიუხედავად მესაკუთრის ცვლილებისა).

მომხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი დადგენილებათა პროექტების გაერთიანებისა და მათი ერთი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის სახით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებელთა მიერ.

გადაწყვეტის:

დადგენილებათა პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტებს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

39. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულებაში“** (შემდგომში - „დებულება“) ცვლილებების შეტანას.

როგორც ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართავენ ფიზიკური და იურიდიული პირები და ითხოვენ თანხმობის გაცემას კინოფილმის, სარეკლამო რგოლის ან სიუჟეტის გადაღების მიზნით. სააგენტოს მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მისთვის ამ ფუნქციის დაკისრება ორი სხვადასხვა პირობით: **თუ აღნიშნული საქმიანობა არ იწვევს გზის სავალი ნაწილის გადაკეტვას, ტროტუარის გადაკეტვას**. ამასთან, სააგენტოს ენიჭება უფლებამოსილება გასცეს თანხმობა და თანხმობის ფარგლებში შეზღუდოს პარკირების უფლება პარკირების ადგილზე ან დაუშვას ტროტუარის გადაკეტვა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობით.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად, **გზის სავალი ნაწილი (სავალი ნაწილი) განმარტებულია როგორც გზის ელემენტი, რომელიც განკუთვნილია ურელსო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის (გარდა ტროტუარის, გვერდულასი, ველობილიკის და ქვეითთა ბილიკისა).**

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და **აქვე დასძინა**, რომ დადგენილების პროექტის მეორე მუხლით დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

გადაწყვეტის:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

40. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეორმოცე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ახლებური რედაქციით ჩამოყალიბებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებული პირების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) მარშრუტებში ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2025 წლის 3 აპრილს, 30 აპრილს და 21 მაისს შევიდა სს „ლომისის“ წარმომადგენლების განცხადებები, რომლებითაც მოთხოვნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებული პირების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) მარშრუტის დამტკიცება. ზემოაღნიშნული მიზნით, დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-105 დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული დადგენილებით განისაზღვრა, რომ „მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტები“, მისი შეთანხმების წესი და პირობები იმოქმედებდა 2025 წლის 1 ივლისამდე. თუმცა, ვინაიდან მოსწავლეების სპეციალური რეგულარულ გადაყვანაზე მოთხოვნა მზარდია, სკოლების მხრიდან ხშირია მომართვა და სურვილი ისარგებლონ ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული უფლებებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის მარშრუტების შეთანხმების პროცედურა გახანგრძლივდეს კიდევ 1 წლით, 2026 წლის 1 ივლისამდე.

მომხსენებლისვე მითითებით, წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია დაარეგულიროს და სამართლებრივად მოაწესრიგოს დასაქმებული პირების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტები, ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით დადგენილი წესების შესაბამისად. ასევე წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, გაგრძელდეს მოსწავლეების სწრაფი, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების ხელის შეწყობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, აგრეთვე, დაარეგულირდეს და სამართლებრივად მოაწესრიგდეს სკოლის მოსწავლეთა სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტები, ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით დადგენილი წესების შესაბამისად.

მომხსენების მიწერულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ

მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტით, დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

გადაწყვეტის:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

41. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეერთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A“ კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მემკვიდრის მიერ სააგენტოსთვის წერილობითი მიმართვისა და განხილვის შემდგომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანება) საფუძველზე ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ მემკვიდრეს უაქტიურებს უვადო ნებართვას. ტექნიკურად აღნიშნული პროცესი ისე წარმართება, რომ სამკვიდრო წესით გადაცემული ნებართვის გენერაციისთვის, მემკვიდრემ უნდა გაიაროს ავთენტიფიკაცია, რის შემდეგაც ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო მემკვიდრეს გაუაქტიურებს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის „A“ კატეგორიის ნებართვას. პრაქტიკიდან გამომდინარე, მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი ამ ავთენტიფიკაციას გადის მემკვიდრეობით გადაცემის ბრძანების გამოცემიდან უახლოეს პერიოდში, იღებს ნებართვას მისი უფლება-მოვალეობებით, თუმცა უფრო მეტად ხშირია შემთხვევები, როცა მემკვიდრეობით მიღებულ ნებართვას მემკვიდრე არ ააქტიურებს ზემოაღნიშნული ტექნიკური პროცედურების გავლის გამო. ფაქტობრივად ინახავს გარკვეული ვადით მას, ისე რომ სამომავლო პერსპექტივაში ნებართვა დაუგენერირდება, თუმცა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სანებართვო პირობების დაცვისგან, მისი გაცემის ფასის გადახდისგან გათავისუფლებულია. ასეთ პირობებთან მიმართებით არასათანადო მდგომარეობაში იმყოფებიან ის პირები, ვისაც ნებართვა აქვს გააქტიურებული, სატრანსპორტო საშუალებისა

და მძღოლის მიზმის გარეშე იხდის ნებართვის გაცემის ფასს - ყოველდღიურად სამ ლარს. ფაქტობრივად, ორი ნებართვის მფლობელია, რომლებიც „ინახავენ“ ნებართვას შემდგომი საქმიანობის განხორციელების მიზნით, აქედან ერთი სანებართვო პირობების დაცვის ვალდებულებას იღებს და ნებართვის გაცემის ფასს იხდის, ხოლო მეორე ამ ვალდებულების შესრულების გარეშე ფლობს მას.

მომხსენებლის მითითებით, სწორედ ზემოაღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით, განისაზღვრება ჩამკეტი მექანიზმი - ნებართვის სამკვიდრო წესით მიღების შემდგომ მისი ტექნიკურად გააქტიურებისთვის დადგენილი ვადის (სააგენტოს უფროსის შესაბამისი ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 1 წელი) დაწესებით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ ნებართვის გააქტიურების საშუალება მემკვიდრეს აღარ შეეძლება მისი ე.წ ხანდაზმულობის ვადების ამოწურვის გამო.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, ხშირია შემთხვევები, როდესაც დარღვეული სანებართვო პირობების (ნებართვის ფასის გადახდის) გამოსასწორებლად წერილობითი გაფრთხილებები არ ბარდებათ ნებართვის მფლობელებს მისამართებზე, ასევე ვერ ხდება კონკრეტული პირების როგორც რეგისტრაციის, ასევე ფაქტობრივი მისამართების მოძიება, ვინაიდან სტატუსი აქვთ „მოხსნილია რეგისტრაციის მისამართიდან“, შესაბამისად ნებართვის გამცემი ორგანო ვეღარ ასრულებს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, იმისთვის, რომ ნებართვის გამცემა მოახდინოს კანონის აღსრულება, ზემოაღნიშნული წერილობითი ინფორმაცია ნებართვის მფლობელს გამოუქვეყნდება მის პირად სივრცესა და აგრეთვე ვებგვერდზე (ვებგვერდზე ნებართვის მფლობელი შეძლებს პირადი/საიდენტიფიკაციო ნომრითა და ნებართვის ნომრით მოახდინოს ავტენტიფიკაცია და გაეცნოს წერილის შინაარსს).

მომხსენებელმა თხოვრა განაგრძო და აღნიშნა, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის „A“ კატეგორიის ნებართვის გაუქმების შემდეგ ნებართვის მფლობელები/კანონიერი წარმომადგენლები განცხადებებით მიმართავენ ნებართვის გამცემს ნებართვის აღდგენაზე და მოხეზად უთითებენ, რომ შეცდომით მოხდა მათი მხრიდან ამ პროცესის განხორციელება. რეალურად, ნებართვის გაუქმებისთვის დადგენილი ელექტრონული პროცედურა გამორიცხავს „A“ კატეგორიის ნებართვის შემთხვევით გაუქმებას, ვინაიდან სისტემის მიერ ხდება გაფრთხილება და გასაუქმებლად საჭიროა ნებართვის მფლობელის მიერ რამდენჯერმე თანხმობის ლილაკით დადასტურება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უვადო ნებართვების გაცემა აღარ ხდება, დაინტერესებულ პირს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს უფლება, რომ სხვა ალტერნატიული გზით მოიპოვოს იგი, მაგალითად შეისყიდოს (ან სხვა ფორმით მიიღოს საკუთრებაში) და ისევ გახდეს უვადო ნებართვის მფლობელი. რაც შეეხება „B“ კატეგორიის ნებართვას, მისი ფლობისთვის დაინტერესებული მხარე ერთჯერადად იხდის ნებართვის გაცემის ფასს და იძენს „B“ კატეგორიის ნებართვას, რომელიც მოქმედებს 1 წლის ვადით. ფასის გადახდის შემდგომ უაქტიურდება მას „B“ კატეგორიის ნებართვა, ხოლო, მისი გაუქმების შემდგომ აღდგენა შეუძლებელია. ფლობის სურვილის შემთხვევაში, მოქალაქეს შეუძლია ისევ შეიძინოს თავად „B“ კატეგორიის ახალი ნებართვა ნებართვის გამცემი ორგანოსგან შესაბამისი ფასის გადახდით. აღნიშნული მიზნის აღსასრულებლად, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, დადგენილებით დამტკიცებულ წესში შედის ცვლილება და მე-19 მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

„3¹. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის გაუქმებული ნებართვა აღდგენას არ ექვემდებარება.“

ნინო ბაგაშვილმა ყურადღება გაამახვილა წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცვლილებაზე და აღნიშნა, რომ საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელის/ან უფლებამოსილი პირის მიერ „A“ კატეგორიის ნებართვის გაუქმების მოთხოვნის შემთხვევაში, შეწყდება ნებართვის გაცემის ფასის დარიცხვა „A“ კატეგორიის ნებართვის გაუქმების მოთხოვნის შესახებ განცხადების დარეგისტრირების თარიღიდან იმ შემთხვევაში, თუ სრულად არის გადახდილი ნებართვის გაცემის ფასის როგორც წინა თვეების, ისე მიმდინარე დავალიანება, ხოლო თუ განცხადების დარეგისტრირების დროს არ იქნება გადახდილი ნებართვის გაცემის ფასი - გაგრძელდება მისი დარიცხვა თანხის სრულ დაფარვამდე (დაფარვის დღის ჩათვლით), რომლის შემდეგაც მოხდება ნებართვის გაუქმება და მის გაუქმებამდე ზედმეტად დარიცხული თანხის დაკორექტირება ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მომხსენებლისვე მითითებით, სააგენტოს უფროსის მიერ ნებართვის გაუქმების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის კანონიერად წარმართვისთვის დაიწყება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, რომლის შესახებაც „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელს წერილობითი შეტყობინება გაეგზავნება და განესაზღვრება ვადა დამატებითი დოკუმენტაციის/მტკიცებულების წარმოსადგენად, კერძოდ ამ წერილობითი ინფორმაციის ჩაბარებიდან №24-80 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადა - 10 კალენდარული დღე, ისევე როგორც ეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება დარღვეული სანებართვო პირობების გამოსასწორებლად, რომლისთვისაც აგრეთვე განსაზღვრულია ვადა - 10 კალენდარული დღე. ნებართვის გაუქმების მიზნით დაწყებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების პერიოდში ნებართვის გაცემის ფასის დარიცხვა უნდა გაგრძელდეს სააგენტოს უფროსის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებამდე, თუმცა ვინაიდან ნებართვის გაცემის ფასის დარიცხვა უსასრულოდ ვერ გაგრძელდება, სანებართვო პირობების დაცვის კონტროლზე უფლებამოსილი ორგანოს მიზანს არ წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადით ნებართვის მფლობელის მიმართ დავალიანების გაზრდა, ნებართვის გაცემის ფასის დარიცხვა უნდა გაგრძელდეს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან სააგენტოს უფროსის მიერ ნებართვის გაუქმების დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებამდე, რომლისთვისაც განისაზღვრება ვადა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად - არაუმეტეს 3 თვე, შესაბამისად, ამ პერიოდის შემდგომ დარიცხული ნებართვის გაცემის ფასი უნდა დაკორექტირდეს. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელის მიერ წარმოების დაწყებიდან მის დასრულებამდე მოხდება დარღვეული სანებართვო პირობის სრულად გამოსწორება, მიიღება დასაბუთებული გადაწყვეტილება ნებართვის არგაუქმების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში ნებართვის მფლობელი გააგრძელებს „A“ კატეგორიის ნებართვით ფლობას/სარგებლობას და კვლავ დაეკისრება ვალდებულება კანონით დადგენილი სანებართვო პირობების დაცვისათვის.

მომხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტით, დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

გადაწყვეტის:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

42. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესში“ (შემდგომში - „წესი“) ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მომართავენ მოქალაქეები, რომლებიც განცხადებაში უთითებენ, რომ პარკირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ქმედების განხორციელებისას სურდათ სხვა სახის ქმედებების განხორციელება და სინამდვილეში ამის ნაცვლად შეცდომით იხდებიან სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასურს და ითხოვენ ამ თანხის უკან დაბრუნებას, რის შესაძლებლობასაც დღეს მოქმედი ზემოხსენებული ნორმატიული აქტი არ იძლევა. აღნიშნული ცვლილებით, მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ დაიბრუნონ შეცდომით შეძენილი პარკირების საფასური, იმ პირობით, რომ მისი დაბრუნების მოთხოვნა წერილობით დაფიქსირდება გადახდის მომდევნო სამუშაო დღეს. აღნიშნული დათქმა ემსახურება იმ მიზანს, რომ თავიდან იქნეს აცილებული მოქალაქეთა არაკეთილსინდისიერი ქმედება, რაც გამოიხატება იმით, რომ წინასწარ განზრახულად პარკირების საფასურის გადახდა განახორციელონ, ამის საფუძველზე ისარგებლონ პარკირების სიკეთით და შემდეგ მოითხოვონ გადახდილი საფასურის უკან დაბრუნება.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული ცვლილება გავრცელდება, როგორც დროის მონაკვეთის მიხედვით არსებულ პარკირების საფასურზე (გარდა 1 კვირის ვადით გადახდილი საფასურისა), აგრეთვე ზონალური პარკირების საფასურზე დროის მონაკვეთის (გარდა 1 დღისა და 1 კვირის ვადებით გადახდილი საფასურისა) მიხედვით. ამასთან, თანხის დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში, შეძენილი პარკირების საფასური გაუქმდება, ვინაიდან თითოეული პარკირების საფასურისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი დღეების/საათის რაოდენობა, რომლის ვადაც აითვლება გადახდის მომენტიდან შესაბამისი საფასურის ვადის ამოწურვამდე. აღნიშნული ცვლილება არ გავრცელდება 1-დღიან და 1-კვირიან ზონალური პარკირების საფასურებზე და ასევე 1-კვირიანი დროის მონაკვეთის მიხედვით არსებულ პარკირების საფასურზე, ვინაიდან შესაძლებელია მოქალაქემ შეიძინოს პარკირების ზემოაღნიშნული საფასურები და შემდეგ მიმართოს სააგენტოს თანხის დაბრუნების მოთხოვნით, როცა უკვე ისარგებლა შეძენილი პარკირების საფასურის დღეებით/საათებით. აღნიშნული საგამონაკლისო დათქმა გარდა საფასურების მოკლე პერიოდისა, განპირობებულია აგრეთვე იმით, რომ პარკირების საფასურების შეძენა შესაძლებელია დაემთხვეს დასვენებისა და უქმე

დღეებს. აღნიშნულ შემთხვევაში, მომდევნო სამუშაო დღეს თუ მიმართავს განმცხადებელი თანხის დაბრუნების მოთხოვნით, სააგენტოს უნდა ჰქონდეს გარკვეული დრო კვლევისთვის, რის შესაძლებლობასაც გამოიყენებს 1 დღიანი და 1 კვირიანი პარკირების საფასურები.

მომხსენებელმა აქვე ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ წესის მე-10 მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, „ზონის მიხედვით სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასურის გადახდის მიზნით ჩარიცხული თანხა, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, ექვემდებარება დაბრუნებას.“ მოცემულ შემთხვევაში, თანაბარი პირობები უნდა გავრცელდეს იმ მოქალაქეების მიმართაც, რომლებიც პარკირების საფასურს იძენენ არასწორად/შეცდომით და სურთ აღნიშნული თანხის დაბრუნება, რის შესაძლებლობასაც არ იძლევა დღეის მდგომარეობით მოქმედი წესის რედაქცია.

მომხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტით, დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

43. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, „დელისი-3“-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1000 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის მიერ აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება $K-2=1.5$ -დან $K-2=2.0$ -მდე, რაც გულისხმობს 1 (ერთი) მიწისზედა სართულის დამატებას, მოთხოვნილია გადამეტებულ

ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის მიერ განმარტა, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება **საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 მარტის ბრძანებით საპროექტო მიწის ნაკვეთზე დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=1.5).

მომხსენებელმა ისაუბრა ასევე მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებაზე და აღნიშნა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ფასი 2025 წლის 16 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 942 005 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 1 ივლისის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.4-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 314 001,67 ლარს.

მომხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა ისაუბრა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვებს:

ნინო ვარდოსანიძემ რეკომენდაციის სახით აღნიშნა განკარგულების მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

44. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ონიაშვილის ქუჩა N81-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 708 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი

ლონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება კ-2=2.1-დან კ-2=2.7-მდე, რაც გულისხმობს 1 (ერთი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 6 (ექვსი) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

მომხსენებლისვე მითითებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე ვრცელდება **საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)**, ხოლო მცირე ნაწილებზე - **საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)** და **სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)**.

ნინო ბაგაშვილის მიერ ასევე დამატებით აღინიშნა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 18 სექტემბრის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები საცხოვრებელ ზონა 5-ის (სზ-5) პარამეტრებით, ხოლო ამავე სამსახურის 2024 წლის 9 ივლისის ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი (კ-2=2.1) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

მომხსენებელმა ისაუბრა ასევე მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებაზე და აღნიშნა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ფასი 2025 წლის 4 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1 476 786 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 8 ივლისის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.1-დან 2.7-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 421 938.86 ლარს.

მომხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული

რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნეეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

45. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ევგენი მიქელაძის ქუჩა N9ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 10 275 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=3.6-მდე, რაც გულისხმობს 12 (თორმეტი) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), ხოლო მცირე ნაწილზე - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მომხსენებლის მიერ ასევე აღინიშნა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ივნისის ბრძანებით (ცვლილება შევიდა 12.12.2017; 28.03.2025 ბრძანებებით) დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის განთავსებისთვის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)-ის პარამეტრებით, ხოლო ამავე სამსახურის 2025 წლის 16 აპრილის ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი (კ-2=3.5) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა. 2025 წლის 20 ივნისის ბრძანებით კი, შეთანხმებულია კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (კ-2=3.5) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

აღნიშნული მოხსენების ფარგლებში, ნინო ბაგაშვილმა ისაუბრა საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებაზე, რომელიც სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 4 ივნისის დასკვნის მიხედვით, საორიენტაციოდ, შეადგენს 21 032 925 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 26 ივნისის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 3.5-დან 3.6-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 600 940.72 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის

თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესატანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქმეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმომდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

46. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი იალბუზის ქუჩა N4; N6; N6a; N8; N8a; N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.043.032, ფართობი - 1.899 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N194 განკარგულებაში ცვლილების შეტანას.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის N24.709.792 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N194 განკარგულებებს თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.8-მდე გულისხმობდა 10 (ათი) მიწისზედა სართულიანი შენობის განთავსებას.

მომხსენებლისვე მითითებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 1-ლი ივნისის ბრძანებით (ცვლილება შევიდა 2025 წლის 26 მარტის ბრძანებით) გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%) განთავსებისთვის.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილ იქნა ზემოაღნიშნულ განკარგულებებში ცვლილების შეტანა, რაც გულისხმობს ხელშემწყობი ღონისძიების სახით გამოყენებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტებით (კ-2=5.8) განპირობებული მოცულობის (სართულიანობის) დაზუსტებას, კერძოდ, დადგენილ მოცულობაზე ერთი სპარკინგე სართულის დამატებას. შესაბამისად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.8-მდე გულისხმობს 11 (თერთმეტი) მიწისზედა სართულიანი შენობის განთავსებას. აღსანიშნავია, რომ კორექტირებული პროექტით არ ხდება კ-2 კოეფიციენტის გადამეტება, რადგან დამატებული სართული წარმოადგენს არასრულ პარკინგის სართულს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ზაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი და მე-2 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

შეჯამება:

47. ნინო ზაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით რონდელის ქუჩა, N14-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 581 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

ნინო ზაგაშვილმა მოხსენება დაიწყო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, რომლის მიხედვით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=2.0-მდე, რაც არ იწვევს შენობის სართულიანობის ზრდას და გულისხმობს შენობის სიგანის ცვლილებას, მოქმედი ფუნქციური ზონის - საცხოვრებელი ზონა 3-ისთვის (სზ-3) დადგენილი მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) დაცვით.

მომხსენებლის მიერ აღინიშნა, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

მომხსენებლის მიერ ასევე აღინიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 16 ივნისის ბრძანებით, სამედიცინო და ჯანმრთელობის ობიექტის (ფუნქცია/დანაშნულება: ამბულატორია, (ტიპი „I“); თმის გადანერგვა და დერმატოვენეროლოგია) მშენებლობისთვის დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=1.5).

აღნიშნული მოხსენების ფარგლებში, ნინო ბაგაშვილმა ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის ღირებულება, 2025 წლის 10 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 609 469 ლარით, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 1 ივლისის წერილით, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 1.5-დან 2.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 203 156.34 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პრემბულაში სწორი ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 11 ივლისის განკარგულების სათაური, ასევე ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმდგმდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მიითითებულ რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

48. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი დიდი დიდმის დასახლება, II და III მიკრო/რაიონს შორის არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 2803 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მოხსენების დასაწყისში, ნინო ბაგაშვილმა ისაუბრა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებაზე, რომლის მიხედვით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=3.8-მდე, რაც გულისხმობს საზაფხულო ფართის ცვლილებას საცხოვრებელ ფართად და კომერციული ფართის გაზრდას, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ არ იცვლება საპროექტო შენობა-ნაგებობის სიმაღლე.

მომხსენებლის მიერ აღინიშნა, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე **ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)**.

ნინო ბაგაშელის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 2 დეკემბრის განკარგულების შესაბამისად, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის განკარგულებით **დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი (კ-2=3.5)**, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 30 ივლისის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს განკარგულებით **დამტკიცებულია ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, II და III მიკრორაიონებს შორის, დიდი დიღმის დასახლება III მიკრო-რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (კ-2=3.5)**.

მომხსენებელმა დამატების სახით აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 12 ივნისის ბრძანებით **შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (კ-2=3.5) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა**.

ნინო ბაგაშვილმა ასევე ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 10 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 3 488 271 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 18 ივლისის წერილის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 3.5-დან 3.8-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 298 994.66 ლარს**.

მომხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პრეამბულაში სწორი ფორმით შიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ივლისის განკარგულების სათაური, ასევე ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული

რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნეეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

49. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რატევანის ქუჩა N20-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1396 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება $კ-2=2.1$ -დან $კ-2=2.8$ -მდე, რაც გულისხმობს 1 (ერთი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 8 (რვა) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის მიერ აღნიშნა, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5), ხოლო მცირე ნაწილებზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული (შიდაკვარტლური) გამწვანება.

მომხსენებელმა დამატებით აღნიშნა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 10 დეკემბრის ბრძანებით (ცვლილება შევიდა 2025 წლის 2 აპრილის ბრძანებით) დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები საცხოვრებელ ზონა 5-ის (სზ-5) პარამეტრებით.

ნინო ბაგაშვილი, აღნიშნული მოხსენების ფარგლებში ასევე შეეხო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას, რომელიც სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 8 ივლისის ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, სპორიენტაციოდ შეადგენს 865 520 ლარს, ხოლო, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 18 ივლისის წერილის თანახმად, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე $კ-2$ კოეფიციენტის 2.1 -დან 2.8 -მდე გადამეტების ფასი შეადგენს 288 506.67 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის საშუალებად, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

წინა ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

50. წინა ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1795 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მოხსენების დასაწყისში, წინა ბაგაშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.9-მდე, რაც გულისხმობს მეორე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე („ბ“ ბლოკზე) 6 (ექვსი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 12 (თორმეტი) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

წინა ბაგაშვილის მიერ აღნიშნა, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

მომხსენებლის მითითებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 26 ნოემბრის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=2.5) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის; ხოლო ამავე სამსახურის 2024 წლის 14 მარტის ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (კ-2=2.5) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა. ამასთანავე, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 7 მარტის ბრძანებით ცვლილება შევიდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ნაცვლად დაფიქსირდა ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 10 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1 497 030 ლარს**, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 18 ივლისის წერილის თანახმად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.9-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 838 336.80 ლარს**.

მომხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

51. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეოთხეულ საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გრაფი შულენბურგის ქუჩა, N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1222 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=4.6-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 4 (ოთხი) სართულის დამატებასა და 11 (თერთმეტი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ძირითად ნაწილზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ხოლო მცირე ნაწილზე - საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).** ამასთანავე, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 მაისის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები საცხოვრებელ ზონა 6-ის (სზ-6) პარამეტრებით.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 18 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1 024 036 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 18 ივლისის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 4.6-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 860 190.24 ლარს.**

მომხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბლიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, შემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

52. თინათინ ნიბლოშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, კანონის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-13 მუხლი ეხება მუნიციპალიტეტის მიერ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფას,

რომლის 1¹ პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომხსენებლის განმარტებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მიღებულ იქნეს საკრებულოს დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“.

თინათინ ნიბლოშვილმა ბაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოს მიზანია ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვა და ქალისა და მამაკაცის არსებითი თანასწორობის ხელშეწყობა.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრება საბჭოს სხდომების ჩატარების რეგლამენტი და საბჭოს წევრთა რაოდენობა, რომელიც მინიმუმ 9 (ცხრა) წევრისგან უნდა შედგებოდეს.

მომხსენების მიწურულს, თინათინ ნიბლოშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება დადებითად აისახება ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

გადაწყვეტის:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

53. თინათინ ნიბლოშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტში ცვლილების შეტანას.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ტექნიკური ხასიათის ცვლილებას, რომელიც დაკავშირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნასა და მისი დებულების დამტკიცებასთან და მიზნად ისახავს რეგლამენტის შესაბამისობაში მოყვანას მოქმედ კანონმდებლობასთან.

მომხსენების მიწურულს, თინათინ ნიბლოშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება

დადებითად აისახება ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

გადაწყვეტის:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

54. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას: შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში, მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37, მუხადის ქ. N4 და ი. აბაშიძის ქ. N55 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებული პირების მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით, განისაზღვროს ამ განკარგულებით გათვალისწინებული შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:

ა) „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ N01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხადის ქ. N4 (ს/კ N01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N1-ით (თანხის სახით ვალდებულების გასტუმრების მსურველ პირთა სია) განსაზღვრულ პირებს დაემატოს:

ა.ა) ნინო დევსურაშვილი და ვალდებულების შესრულებისათვის გადასაცემ თანხად განისაზღვროს 51 205 (ორმოცდათერთმეტი ათას ორას ხუთი) აშშ დოლარი;

ა.ბ) ნინელი გლურჯიძე და ნათელა გლურჯიძე და ვალდებულების შესრულებისათვის გადასაცემ თანხად განისაზღვროს 325 400 (სამას ოცდახუთი ათას ოთხასი) ლარი.

ბ) მიეცეთ კომპენსაცია შემდეგ პირებს:

ბ.ა) ნინო დევსურაშვილს 51 205 (ორმოცდათერთმეტი ათას ორას ხუთი) აშშ დოლარის ოდენობით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გადარიცხვის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

ბ.ბ) ნინელი გლურჯიძეს და ნათელა გლურჯიძეს ჯამურად - 325 400 (სამას ოცდახუთი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

გ) „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ N01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხადის ქ. N4 (ს/კ N01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641

განკარგულების დანართი N2-ით (ალტერნატიულ მიწაზე ფართის სახით გასაცემი ვალდებულების მიღების მსურველ პირთა სია) განსაზღვრულ პირებს დაემატოს:

გ.ა) ნინო დევსურაშვილი და ვალდებულების შესრულებისათვის გადასაცემ ფართად განისაზღვროს (საცხოვრებელი ფართი - 111.00 კვ.მ და 2 ავტოფარეხი, გადახდილი თანხა 61 050 (სამოცდაერთი ათას ორმოცდაათი) აშშ დოლარი).

კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა იმ სამართლებრივ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაედო წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მომზადებას და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ (შემდგომში - „კომისია“) 2025 წლის 16 ივლისის კომისიის სხდომაზე განიხილა მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37, ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4, ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულების საკითხი.

ნინო ვარდოსანიძის განმარტებით, თბილისის პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ზემოაღნიშნული დაზარალებული პირების მიმართ დგინდება შემდეგი:

- ნინო დევსურაშვილმა 10.04.2017 წელს შპს „საინვესტიციო დეველოპერული კომპანია ათორისგან“ შეიძინა ქ. თბილისში, საირმის ქუჩა N37-ში ასაშენებლ კომპლექსში მდებარე 93.10 კვ.მ (მე-5 სართულზე) და 111.00 კვ.მ (მე-6 სართულზე) ბინები, ასევე ორი ავტოფარეხი ჯამში 30 კვ.მ. ბინების საფასური 112 255 აშშ დოლარის ექვივალენტი გადაიხადა სრულად და 3.445 აშშ დოლარი ავტოფარეხებისთვის. დაზარალებულად ცნობილია 115 700 აშშ დოლარის ნაწილში. ნინო დევსურაშვილის მიერ შესყიდული 93.10 კვ.მ ფართის ღირებულება შეადგენს 51 205 აშშ დოლარს, ხოლო 111.00 კვ.მ ფართის - 61 050 აშშ დოლარს;
- ნინო დევსურაშვილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის 24 მარტს წარდგენილი განცხადებით უარს აცხადებს დამატებით რაიმე მოთხოვნაზე, თუ მის მიმართ გასაცემი ვალდებულების ნაწილი (საცხოვრებელი ფართი - 111.00 კვ.მ და 2 ავტოფარეხი) შესრულდება ფართის სახით, კერძოდ, თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ ალტერნატიულ მიწის ნაკვეთზე (მისამართი: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქუჩა 36) ხოლო ნაწილი თანხის სახით - 51 205 (ორმოცდათერთმეტი ათას ორას ხუთი) აშშ დოლარის ოდენობით;
- თბილისის პროკურატურის მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციით, ნათელა გლურჯიძემ 2019 წლის 17 აგვისტოს, შპს „საინვესტიციო-დეველოპერულ კომპანია ათორიდან“ გააფორმა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ქ. თბილისში, საირმის ქუჩა N44-ში 60 000 აშშ დოლარად შეიძინა საცხოვრებელი ბინა 110 კვ.მ ბინა. თანხის გადახდის სანაცვლოდ, ნათელა გლურჯიძემ ბესიკ თხელიძეს გადაუფორმა მისი ბინა მდებარე ბახტრიონის ქუჩა N20-ში. დაზარალებულად ცნობილია 30 000 აშშ დოლარის ნაწილში, ხოლო ნინელი გლურჯიძემ - 2019 წლის 23 ივლისს ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა შპს „საინვესტიციო-დეველოპერულ კომპანია ათორთან“, რომლის თანახმადაც, საირმის ქუჩა N37-39-ში შეიძინა 45 კვ.მ ფართობის ბინა, ხოლო ბინის ღირებულება განისაზღვრა 30 000 (ოცდაათი ათასი) აშშ დოლარით, თუმცა ფულადი თანხა არ გადაუხდია, რადგან იგი გაიქცა ნინელი გლურჯიძის და მისი ოჯახის წევრების თანასაკუთრებაში არსებული ბახტრიონის ქუჩაზე განთავსებული 147.10 კვ.მ ბინის ღირებულებაში, რომელიც გადაუფორმეს ბესიკ თხელიძეს. დაზარალებულად ცნობილია 30 000 აშშ დოლარის ნაწილში;

- ნინელი გლურჯიძემ და ნათელა გლურჯიძემ ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობით და წერილით (05.10.2023) მოითხოვეს ზემოაღნიშნული უძრავი ქონების: ბახტრიონის ქუჩა N20-ში მდებარე, (ფართობი: - 147.10 კვ.მ) საცხოვრებელი ფართის ვალდებულებისგან გათავისუფლება და საკუთრებაში დაბრუნება, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენს დავით დოლიძის საკუთრებას;
- აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ნინელი გლურჯიძე და ნათელა გლურჯიძე გათვალისწინებულნი იყვნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების (N641; 28.12.2023) N5 დანართით.
- **თბილისის პროკურატურის მიერ მოწოდებული დაზუსტებული ინფორმაციით, ნინელი გლურჯიძის და ნათელა გლურჯიძის მიმართ მიყენებული ზიანი მოცემულია მხოლოდ თანხის სახით და შეადგენს ჯამში 325 400 ლარს;**
- ნინელი გლურჯიძე და ნათელა გლურჯიძე წერილობითი განცხადებით უარს აცხადებენ დამატებით რაიმე მოთხოვნაზე, თუ მათ მიმართ ვალდებულება შესრულებული იქნება თანხის სახით, თბილისის პროკურატურის მიერ დადგენილი ზიანის ფარგლებში (დაზარალებულად ცნობილები არიან ჯამში - 325 400 ლარი). ამასთან, აღნიშნული თანხის მიღების შემთხვევაში არ ექნებათ პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება როგორც შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების, ასევე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულისა და კომისიის დადებითი რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია, შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში, მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 მუხამის ქ. N4 და ი. აბაშიძის ქ. N55 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებული პირების მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ამ განკარგულებით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

55. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეოთხეულ საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას: ქ. თბილისში, ოთარ ონიაშვილის ქ.

N59-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულებები N23.347.387, 15.03.2023; N23.494.557, 07.04.2023) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულებები N127, 17.03.2023; N159, 11.04.2023), ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, ნათელა ურუმაშვილის მიერ ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შესასრულებელი ვალდებულების, თანხის გადახდის ნაწილში შესრულებულად ჩათვლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ამავე განკარგულებებით (N127, 17.03.2023; N159, 11.04.2023) გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების ძალაში დატოვების თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიამ (შემდგომში - „კომისია“) 2025 წლის 14 ივლისის სხდომაზე განიხილა - ქ. თბილისში, ოთარ ონიაშვილის ქ. N59-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, ნათელა ურუმაშვილის მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხი. კომისიის მიერ საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 მარტის N127 განკარგულებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, ნათელა ურუმაშვილს უნდა განეხორციელებინა თანხის - 92 229 აშშ დოლარის გადახდა, გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით ლარში;
- ნათელა ურუმაშვილის მიერ ზემოაღნიშნული თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და ნათელა ურუმაშვილის მიმართ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 მარტის N23.347.387 განკარგულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან (განკარგულება N127, 17.03.2023) შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, 2025 წლის 29 მაისის და 2025 წლის 7 ივლისის განცხადებებით მიმართა ნათელა ურუმაშვილმა და წარადგინა გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;
- გადახდის დამადასტურებელი ქვითრების მიხედვით დგინდება, რომ ნათელა ურუმაშვილმა დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხიდან - 92 229 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსი);
- 92 229 აშშ დოლარის ნაწილის - 92 229 (35,096.08 აშშ დოლარის ექვივალენტი) ლარის გადახდა განახორციელა 2023 წლის 6 სექტემბერს;
- 92 229 აშშ დოლარის ნაწილის - 133 750 (50,639.86 აშშ დოლარის ექვივალენტი) ლარის გადახდა განახორციელა 2023 წლის 20 სექტემბერს;
- 92 229 აშშ დოლარის ნაწილის 17 516.30 (6,493.05 აშშ დოლარის ექვივალენტი) ლარის გადახდა განახორციელა 2023 წლის 17 ოქტომბერს;
- ვინაიდან, 2023 წლის 20 სექტემბრისა და 2023 წლის 17 ოქტომბრის გადახდები განხორციელდა ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცებიდან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N127, 17.03.2023წ) 6 თვიანი ვადის გასვლის შემდგომ, მოხდა ჯარიმის დათვლა (დაკისრება) 175.24 ლარის ოდენობით. ნათელა ურუმაშვილმა ჯარიმის თანხა ჩარიცხა მხოლოდ 175 ლარი ერთი დღის დაგვიანებით, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ 2023 წლის 17 ოქტომბერს, ნათელა

ურუმაშვილს უნდა განეხორციელებინა 6,493.06 აშშ დოლარის ექვივალენტის ლარში ჩარიცხვა, რაც 2023 წლის 17 ოქტომბრის ოფიციალური გაცვლითი კურსით შეადგენდა 17,516.33 ლარს, ნაცვლად ამისა, მის მიერ მოხდა 6,493.05 აშშ დოლარის ექვივალენტის ჩარიცხვა - 17,516.30 ლარის ოდენობით, შესაბამისად, მიღებულ იქნა 0.01 ცენტისანი დანაკლისი, სწორედ ამიტომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურისგან მოთხოვნა იყო, რომ ნათელა ურუმაშვილს დამატებით ჩაერიცხა არანაკლებ 0.27 თეთრისა, თუმცა, 2023 წლის 15 დეკემბერს მან ჩარიცხა 3 (სამი) ლარი.

- ნათელა ურუმაშვილი ითხოვს, შესრულებულად ჩაითვალოს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის - 92 229 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდის ვალდებულება და მისამართზე - ქ. თბილისი, ოთარ ონიაშვილის ქ. N59-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით გაცემული ხელშეწყობი ღონისძიებები დარჩეს ძალაში.

როგორც წინა ვარდოსანიძემ აღნიშნა, იმის გათვალისწინებით, რომ ნათელა ურუმაშვილს ამ ეტაპზე ვალდებულება შესრულებული აქვს სრულად; ამასთან, დაინტერესებული პირის მიერ ვალდებულების შესრულებისათვის გათვალისწინებული თანხის - 92 229 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ვადაგადაცილებით გადახდისათვის დასაკისრებელი თანხა კერძოდ, 175 ლარი და 24 თეთრი, ასევე 0.01 ცენტის ექვივალენტი ლარში (ჯამური თანხით - 3 ლარი) (რომელიც ასევე გადახდილია) შესაბამისობაშია შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში დადგენილ ვალდებულებაზე ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით დაკისრებული გადასახადის განსაზღვრის პრინციპთან და საანგარიშო ფორმულასთან, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, დადებითი რეკომენდაცია გაეწია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის, წინამდებარე განკარგულებით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

მოხსენების მიწურულს, წინა ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულისა და კომისიის დადებითი რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წინამდებარე საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

აზრი გამოთქვას:

წინა ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი და მე-2 პუნქტების ტექნიკურად გამართვის, ასევე განკარგულების პროექტის პრეამბულაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ივლისის N25.1248.1409 განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითების რეკომენდაციებზე.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ზოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

56. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების სამშატოო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების სამშატოო ნუსხაში ხორციელდება სამშატოო ერთეულების ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოში მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობა გარდაიქმნება მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად. აღნიშნული გადაადგილების მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში კადრების ოპტიმიზაცია, ცვლილებით თანამშრომელთა რიცხოვნობა არ იცვლება.

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებები მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა შოთა გრიგოლიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

ნ. ვარდოსანიძე

ნინო ვარდოსანიძე

სხდომის მდივანი

ნ. პანელიშვილი

ნინო დანელიშვილი